ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba



**ზაზა ხატიაშვილი: „რუსთავი 2-ის საქმის უკან ხელისუფლება დგას“** გვ.2

**6 მარტიდან**

ვიქტორ ჰიუგო
**საბრალონი**

ტომი IV

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




ოთხშაბათი, 8 მარტი, 2017 №56 (7291) ფასი: 50 თეთრი

# სტრასბურის სასამართლომ რუსთავი 2-ის საქმეზე შეჩერების გადაწყვეტილება უვადოდ გააგრძელა



ნიკა გვარამია: „რუსთავი 2 ჩვენია“

## „ნაციონალები რუსთავი 2-ის თემით რევოლუციის მოწყობას გეგმავენ“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „მედია ყოფილი ხელისუფლებისგან უნდა დავიცვათ“ გვ.3



პაატა სალია: „სახელმწიფომ თავისი გადაწყვეტილება უნდა დაიცვას“ გვ.2

## სოსო მანჯავიძე: „ნაციონალებს პროვოკაციების საშუალება არ უნდა მივცეთ“



„კოლუაშვილის სიტყვები ზონდაჟი იყო“ გვ.5

## მიხეილ რამიშვილი: „შორენა თეთრუაშვილის ჩვენება მამა გიორგის უდანაშაულობაზე მიუთითებს“



„პროკურატურამ მამა გიორგის სეიფი გახსნა, მაგრამ ცარიელი აღმოჩნდა“ გვ.4

## სუსი: ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე 50.000 ლარის ქრთამის აღების ბრალდებით არის დაკავებული გვ.7

## საყოველთაო ჯანდაცვა მაღალშემოსავლიანი მოქალაქეებისთვის დიფერენცირებული იქნება

გვ.6



ISSN 1987-9385

## საწვავის ფასი უსაფუძვლოდ მაღალია



გვ.6

## მთავრობამ მზის ელექტროსადგურის მშენებელ კომპანიასთან მემორანდუმი შეწყვიტა

გვ.6



ინვესტორი 300.000 დოლარის ზარალზე საუბრობს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ზაზა ხატიაშვილი: „რუსთავი 2-ის საქმის უკან ხელისუფლება დგას“

## „ჭაობიდან თითქმის გამოსული რომაა ადამიანი და უკან რომ გადახტება, ამ სიტუაციაშია დღეს საქართველოს ხელისუფლება“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის" კითხვებს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი პასუხობს.**

***– ბატონო ზაზა, რა მოლოდინი გაქვთ რუსთავი 2-ის საქმესთან დაკავშირებით? სტრასბურიდან რა სახის გადაწყვეტილებას ელით?***

– მე ვფიქრობ, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო გააგრძელებს დროებით ღონისძიებას. ანუ გააგრძელებს მოქმედების ვადას იმ განკარგულებისას, რაც მათ გამოიტანეს აღსრულების შეჩერების თაობაზე, სანამ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში არ მოხდება ამ საქმის განხილვა.

***– რის საფუძველზე გაქვთ ეს მოლოდინი?***

– ძალიან ბევრი მტკიცებულება აქვს ევროპულ სასამართლოს იმისი, რომ აქ ხდებოდა პოლიტიკური ჩარევა ხელისუფლების მხრიდან რუსთავი 2-ის სარედაქციო პოლიტიკაში.

***– სად ჩანს ეს ჩარევა?***

– მე ვესწრებოდი ყველა პროცესს და სააპელაციო სასამართლოში ერთ-ერთი პროცესი პროტესტის ნიშნად დავტოვე, რადგან დავინახე, რომ ადგილი ჰქონდა ძალიან ბევრ სიბინძურეს ამ ადამიანების მიმართ.




***– რას გულისხმობთ? თქვენც მიგაჩნიათ, რომ აქ ხელისუფლების ინტერესი იკვეთება?***

– მიმაჩნია კი არა, ეს ძალიან ნათლად ჩანს.

***– კონკრეტულად საიდან ჩანს?***

– თუნდაც ერთ მტკიცებულებას გეტყვით. როდესაც რუსთავი 2-მა დოკუმენტაცია გააგზავნა სტრასბურში და აღსრულების შეჩერება მოხდა, ჩვენ ყველამ ვნახეთ, როგორ მივიდა თეა წულუკიანი მთავრობის კანცელარიაში და ჩაატარა პრესკონფერენცია და განმარტა სტრასბურის სასამართლოს მიერ გამოტანილი ღონისძიება.

***– არ უნდა ჩაეტარებინა?***

– თქვენ საქართველოს უახლეს ისტორიაში თუ გახსენდებათ ეგეთი ფაქტი?! მარტო მე სამ საქმეზე მაქვს დროებითი ღონისძიება სტრასბურის სასამართლოს მიერ გამოტანილი, როცა წინა ხელისუფლებას ავუკრძალე კონკრეტული მოქმედებების შესრულება. როდესმე გინახავთ, რომ იუსტიციის სამინისტროში ვინმეს ამ საკითხზე ჩაეტარებინოს პრესკონფერენცია და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ეცნობებინოს საზოგადოებისთვის? ამით დაადასტურა საქართველოს ხელისუფლებამ, რომ ის არის მხარე! მე ვფიქრობ, რომ სტრასბურის სასამართლოს მხოლოდ ეს მტკიცებულება ეყოფა.

***– ეს ბრიფინგი ჩატარდა იმის გამო, რომ ძალიან დიდია საზოგადოების ინტერესი და უნდა განემარტა იუსტიციის სამინისტროს, თუ რა მოხდა. თქვენ ასე არ ფიქრობთ?***

– საზოგადოების ინტერესი ძალიან ბევრ საქმეზეა საკმაოდ მაღალი, მაგრამ მხარედ შენ არ უნდა დაფიქსირდე და მთავრობის კანცელარიაში ბრიფინგები არ უნდა მართო. მათ დიდი შეცდომა მოუვიდათ და ახლა ცდილობენ, როგორმე გადაფარონ ეს შეცდომა.

***– ხელისუფლებისგან გვესმის შეფასებები, რომ ეს არის კერძო დავა და უნდა აღდგეს სამართლიანობა და მფლობელს დაუბრუნდეს კუთვნილი ქონება.***

– თუ კერძო დავაა, ვინ ეკითხებოდა ქალბატონ წულუკიანს, კერძო დავაზე კანცელარიაში რომ მირბოდა და საგანგებო ბრიფინგს ატარებდა?! თუ კერძო დავა იყო, მაშინ ხალვაშსა და მის ადვოკატს ჩაეტარებინათ. აქ გამოიკვეთა მათი 100%-იანი ინტერესი. სასამართლომ მიიღო უპრეცედენტო და უსამართლო გადაწყვეტილება.

ყიდვა-გაყიდვის გარიგება ხომ არსებობს, ამ გარიგების შემდეგ საქმეებში არის კიდევ 7 პირი და სასამართლომ ქონება მაინცდამაინც მერვეს მიაკუთვნა. რატომ?! როდესაც ამხელა დარღვევები ხდება ერთ კონკრეტულ საქმეში, მე ვფიქრობ, რომ ეს არის ძალიან ნათელი მინიშნება იმისა, რომ ხელისუფლების სურვილია, შეიცვალოს ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკა!

***– რას იტყვით თავად ხალვაშზე, რომელიც თავს დაზარალებულად და რეჟიმის მსხვერპლად მიიჩნევს?***

– თეა წულუკიანის პრესკონფერენციის შემდეგ გამოჩნდა, რომ ამ საქმის უკან ხელისუფლება დგას და არა – ხალვაში! ის, რომ ხალვაში იყო სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლი და მას ქონება დაუწვეს, ეს ცხადია და მეც მგონია, რომ ის მსხვერპლი იყო.

***– ტელევიზია რომ წაართვეს, ამ თვალსაზრისით არ არის მსხვერპლი?***

– თუ ხელისუფლებას ასე ძალიან უნდა, რომ ხალვაშს აღუდგინოს სამართლიანობა, იმ ზარალზე, რაც მან მიიღო ქონების დაწვის შედეგად,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

**ყველაზე დიდი სირცხვილი არის ის, რომ სააკაშვილის რეჟიმის მთავარი საყრდენი თეა წულუკიანისა და იუსტიციის სამინისტროს უთავბოლობის გამო ევროპულმა სასამართლომ აღიარა, როგორც პოლიტიკური პატიმარი**

# სტრასბურის სასამართლომ რუსთავი 2-ის საქმეზე შეჩერების გადაწყვეტილება უვადოდ გააგრძელა

## ნიკა გვარამია: „რუსთავი 2 ჩვენია“

შორენა მარსაგიშვილი

პოზიციაც და ოპოზიციაც 8 მარტის მოლოდინში იყვნენ გასუსული. 3 მარტს ევროსასამართლო დაგვპირდა, რომ რუსთავი 2-ის საქმეზე მორიგ გადაწყვეტილებას ქალთა საერთაშორისო დღეს გამოაცხადებდა. 8 მარტს სტრასბურში ვანო მერაბიშვილის საქმის განხილვაც იწყება. ეტყობა, მოსამართლეებს შეეშინდათ, მთელი საქართველო თავს არ დაგვეცესო და გადაწყვეტილება გუშინ, 7 მარტს, გამოაცხადეს.

ევროსასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ერს რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ ამცნო.

– სტრასბურის სასამართლოს განმხილველმა პალატამ ერთხმად გააგრძელა 3 მარტს მიღებული შეჩერების ღონისძიება. საქართველოს მთავრობას ეკრძალება, აღასრულოს უზენაესი სასამართლოს განჩინება იმ მომენტამდე, ვიდრე ამის უფლებას ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო არ მისცემს, – განაცხადა საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე ნიკა გვარამიამ.

ამ განცხადებას ბრიფინგზე დამსწრეები ხანგრძლივი ტაშითა და ოვაციებით შეხვდნენ.

გვარამიას განმარტებით, ეს არნახული წარმატება და მთელი საქართველოს გამარჯვებაა.

– რუსთავი 2 ჩვენია! ის ყველა ჩვენგანისაა, ვინც აქ ვართ. მადლობა ყველას, ვინც ამისთვის იბრძოლეთ. მადლობა ჟურნალისტებს, რომლებიც იმისთვის კი არ იბრძვით, რომ თავი შეინარჩუნოთ და ხელფასი აიღოთ, არამედ იმისთვის, რომ სიმართლე უთხრათ ხალხს, – აღნიშნა გვარამიამ.

განსაკუთრებული მადლობა მან არხის იურისტებს თამთა მურადაშვილსა და დიმიტრი საძაგლიშვილს გადაუხადა.

– განსაკუთრებული მადლობა ჩვენს იურისტებს, დიტოსა და თამთას. ისინი სტრასბურის სასამართლოს ისტორიაში შევლენ. მათ არნახულ წარმატებას მიაღწიეს. მადლობა ჩვენს მეგობარ იურისტებს. ეს ყველა ჩვენგანის, მთელი საქართველოს გამარჯვებაა, – აღნიშნა გამარჯვებულმა გვარამიამ.

საზეიმო განწყობა სუფევდა რუსთავი 2-ის მხარდამჭერი პოლიტიკოსების გულებში. მათი ნაწილი გამარჯვებას სოციალური ქსელებით აღნიშნავდა, ნაწილი მედიას უზიარებდა თავის სიხარულს.

– სტრასბურმა აღსრულების გადაწყვეტილება უვადოდ გააგრძელა. ეს არის დემოკრატიის უდიდესი გამარჯვება და დიქტატორის უდიდესი მარცხი! ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, რამდენ ხანს შევეგუებით ივანიშვილის სამარცხვინო მოღალატურ მმართველობასა და ბატონობას, – გახარებული გაჰყვიროდა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე ყოფილი დეპუტატი ნუგზარ წიკლაური.

---

სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ცხადია, უკმაყოფილოა ქიბარ ხალვაში. ამის მიუხედავად, მისი ადვოკატი პაატა სალია მაინც ოპტიმისტურად არის განწყობილი.

პაატა სალია არ გამორიცხავს, რომ სტრასბურის გადაწყვეტილება, შეიძლება, პროცესის ხელახალი დაწყების საფუძველი გახდეს.

– სტრასბურის სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ნიშნავს იმას, რომ ვიდრე არ მიიღებს სტრასბურის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებას, დაირღვა თუ არა რუსთავი 2-ის მიმართ კონვენციით გათვალისწინებული მუხლები, მანამდე აღსრულება იქნება შეჩერებული, ანუ ჩვენ არ გვექნება შესაძლებლობა, მოვახდინოთ წილების აღრიცხვა საჯარო რეესტრში ქიბარ ხალვაშის სახელზე.







**პაატა სალია: „სახელმწიფომ თავისი გადაწყვეტილება უნდა დაიცვას“**

უნდა დაველოდოთ. სასამართლო არსებითად იმსჯელებს ამ საქმეზე. თუ დადგინდება, რომ იყო დარღვევა, ეს შეიძლება იყოს საქართველოში პროცესის ხელახლა დაწყების საფუძველი. თუ არ დადგინდება, ეს შეზღუდვა მოიხსნება, – განაცხადა პაატა სალიამ ტვ პირველის ეთერში საუბრისას.

ამ ეტაპზე მას უჭირს იმის თქმა, თუ რა ვადებში შეიძლება გადაწყდეს საკითხი. სამაგიეროდ, დარწმუნებულია, რომ სიმართლე აუცილებლად იზეიმებს.

– ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია. იქიდან გამომდინარე, რომ საქმეს მიენიჭა პრიორიტეტი, შესაბამისად, უფრო ადრე იქნება განხილული, ვიდრე სხვა საქმეები, რომლებიც წარდგენილია საქართველოდან.

რაც შეეხება იმას, ორ სუბიექტს შორის დავაში ჩარევის უფლება რამდენად ჰქონდა სასამართლოს, ამ შემთხვევაში ჩემმა მოწინააღმდეგე მხარემ სასამართლოს მიმართა დროებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე, ვინაიდან აპირებს, წარადგინოს სარჩელი სტრასბურის სასამართლოში, სადაც, სავარაუდოდ, მიუთითებს, რომ პროცესის მსვლელობისას დაირღვა კონვენციით გათვალისწინებული უფლება სამართლიანი სასამართლოსი და ეცდება დაამტკიცოს, რომ ეს უფლება ნამდვილად დაირღვა.

თუ სასამართლო ჩათვლის, რომ ეს უფლება დარღვეულია, ეს საქართველოში პროცესის დაწყების საფუძველი გახდება, თუმცა, კონვენციიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში მოპასუხე მხარე არ არის კერძო პირი, ანუ ქიბარ ხალვაში. მოპასუხე არის სახელმწიფო, ვინაიდან გადაწყვეტილება საქართველოს სახელით არის გამოსული.

შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა დაიცვას თავისი გადაწყვეტილება, განმცხადებელი კი არის ის პირი, რომელიც თვლის, რომ მისი უფლება შეილახა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ რა დროც არ უნდა დასჭირდეს ამ ყველაფრის გარკვევას, სიმართლე აუცილებლად გაირკვევა. მას შემდეგ, რაც სტრასბურის სასამართლო იმსჯელებს, დარწმუნდება, რომ არანაირი უფლება არ დარღვეულა, მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგე მხარე ცდილობს წარმოაჩინოს, რომ სიტყვის თავისუფლების ხელყოფა ხდება, – განაცხადა პაატა სალიამ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ნაციონალები რუსთავი 2-ის თემით რევოლუციის მოწყობას გეგმავენ“

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „მედია ყოფილი ხელისუფლებისგან უნდა დავიცვათ“

შორენა მარსაგიშვილი

**რა გეგმები აქვს ყოფილ ხელისუფლებას, რას ემსახურებოდა საგარეო საქმეთა მინისტრის ჩასვლა სტრასბურგში, უკავშირდება თუ არა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ტრამპის გადაწყვეტილებას? – ამის შესახებ „ახალ თაობას" უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.**

ნიკოლოზ მჟავანაძე:

***– რუსთავი 2-თან დაკავშირებით ნაციონალები და მათი სატელიტები საეჭვოდ აქტიურობენ, ცდილობენ, ეს ტელევიზია საკუთარი ბინძური მიზნებისთვის გამოიყენონ. მიმაჩნია, რომ რუსთავი 2 დღეს მართლა დასაცავია, ოღონდ ყოფილი ხელისუფლებისგან.***

ძალიან საინტერესო და საყურადღებო განცხადება გააკეთა ტახიროვიჩმა ანუ გიორგი არველაძემ. ის თავის სოციალურ ქსელში ღიად წერს, თუ რუსთავი 2 ქიბარ ხალვაშს დაუბრუნდება, რევოლუცია გარდაუვალი იქნება და ეს ხელისუფლება უნდა დავამხოთო. რუსთავი 2 ნაციონალების ხელში არის სერიოზული იარაღი და ამ იარაღის გამოყენებით მათ მართლაც შეუძლიათ არეულობის მოწყობა.

ამ მედიასაშუალებას დასავლეთშიც აქვს დასაყრდენი. საუბარია იმ დასავლურ მედიაზე, რომლებსაც დონალდ ტრამპი ებრძვის. ამ ტელევიზიებსა და გამოცემებს ტრამპმა ამერიკელი ხალხის მტერიც კი უწოდა და თეთრ სახლში აკრედიტაციაც კი გააუქმა.

***– უზენაესმა სასამართლომ რუსთავი 2-თან დაკავშირებით გადაწყვეტილება ტრამპის ქმედებებიდან გამომდინარე გამოიტანა?***

– უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ტრამპის ქმედებას არანაირად არ უკავშირდება. აშშ-ის პრეზიდენტზე ყურადღება მე გავამახვილე. ამით იმის თქმა მინდა, რომ სააგიტაციო მანქანა, რომელიც დღეს საქართველოშია ჩართული, უცხო არც ამერიკელებისთვის არის.

***– ამის მიუხედავად, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს საკმაოდ მწვავე რეაქცია ჰქონდა რუსთავი 2-ის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე.***

– ეს ჩემთვის გაუგებარია. სახელმწიფო დეპარტამენტს ძალიან მუქ ფერებში აქვს დახატული სიტუაცია. კვირიკაშვილსაც რომ იგივე გაეკეთებინა, რაც ტრამპმა გააკეთა, მაშინ რას იზამდა სახელმწიფო დეპარტამენტი ნეტავ?

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება კი ნამდვილად სამართლიანია. ამ სასამართლომდე იყო სხვა სასამართლოებიც. როგორ შეიძლება, პროკურორ გვარამიას ვენდოთ და მოსამართლეებს – არა.

***– ის არ გაეჭვებთ, რომ დიდი პალატის ცხრავე მოსამართლემ ხალვაშის სასარგებლოდ გამოიტანა განაჩენი?***

– ეს ჯერ არავინ იცის, რამდენმა მოსამართლემ დაუჭირა ამ გადაწყვეტილებას მხარი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, არ შეიძლება, ვინმემ თავი შეიკავოს. როცა გადაწყვეტილება გამოდის, მასზე ყველა აწერს ხელს. იქ ვინ მისცა ხმა და ვინ – არა, ეს მხოლოდ დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების შემდეგ გახდება ცნობილი. არ გამოვრიცხავ, რომ მართლა ყველამ მისცა ხმა.

დიდი აჟიოტაჟია სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. ევროსასამართლოს არსად ჩაუწერია, რომ უზენაესმა უკანონო გადაწყვეტილება მიიღო. უბრალოდ, ამათ აშშ-ის საელჩოს, არასამთავრობოებისა და სხვადასხვა პოლიტიკოსის განცხადებები დაურთეს, ისეთი სურათი დახატეს, თითქოს ქვეყანა ინგრეოდა. მხოლოდ ამიტომ შეაჩერა სტრასბურმა უზენაესის გადაწყვეტილება.

სტრასბურმა ყარამანაშვილის სასარგებლოდაც რომ გადაწყვიტოს დავა, ბევრი არაფერი შეიცვლება. ერთადერთი, რაც მოხდება, სახელმწიფოს მის სასარგებლოდ დააკისრებს კომპენსაციის გადახდას. სხვა მხრივ უზენაესის გადაწყვეტილება ვერ შეიცვლება.

***– თუ არაფერს შეცვლიდა სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილება, მაშინ რატომ მიცვივდნენ ევროსასამართლოში ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები? ხალვაშისა და მისი ადვოკატის მისვლა გასაკვირი ნამდვილად არ არის, მაგრამ მიხეილ ჯანელიძის ვიზიტი ცოტა უცნაურია.***

– ნებისმიერ მხარეს აქვს მესამე პირად ჩართვის უფლება. მოპასუხე მხარე, მართალია, ხელისუფლებაა, მაგრამ საქმე ხალვაშს ეხება და ის სწორად მოიქცა, სასამართლოში რომ მივიდა. არც ის დაგვავიწყდეს, რომ ეს ადამიანი სააკაშვილის ხელისუფლების მიერ არის დაზარალებული. გარდა იმისა, რომ ნაციონალებმა მას ქონება წაართვეს, დაჭერასაც უპირებდა. ხალვაში მხოლოდ იმიტომ გადარჩა, რომ ქვეყნიდან გასვლა მოასწრო. მას გერმანიამ პოლიტდევნილის სტატუსი მიანიჭა.

შესაძლოა, ქიბარ ხალვაში არც ჩართონ მესამე პირად, მაგრამ მისმა ადვოკატმა განმარტა, რომ ეს მათ შემდგომი სამართლებრივი დავისთვის სჭირდებათ.

***– ჯანელიძეზე რაღას იტყვით?***

– სტრასბურის სასამართლოში მისვლის უფლება ყველას აქვს. გამონაკლისი არც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრია. ნაციონალები მინდა დავამშვიდო, რომ ჯანელიძეს ევროსასამართლოს წევრებისთვის ქრთამი არ ჩაუტანია. არც სტრასბურის სასამართლოა ის უწყება, ვინმეს რომ უთხრა, ჩვენ სასარგებლოდ გადაწყვიტე ესა და ეს საქმეო.

***– ქრთამს რომ არ ჩაიტანდა, ამაზე არც არვინ დავობს. საინტერესო ის არის, რატომ ჩავიდა სტრასბურში მორიგი გადაწყვეტილების მიღებამდე 2 დღით ადრე.***

– მისი ვიზიტის შესახებ ინფორმაციას არ ვფლობ, შესაძლოა, იქ სულ სხვა საკითხზე ჩავიდა.

***– და თუ ამ საკითხზე სასაუბროდ ჩავიდა?***

– დიდი ტრაგედია არც ეს არის. კიდევ ერთხელ ვამბობ, სტრასბურის სასამართლოზე გავლენას ვერავინ მოახდენს.

***– აბა, რატომ ამბობდნენ ხელისუფლების მხარდამჭერები, რომ 3 მარტის გადაწყვეტილებაზე ნაციონალებმა იქონიეს გავლენა? ზოგი იმასაც ამტკიცებდა, სააკაშვილს სტრასბურზე დღემდე დიდი გავლენა აქვსო.***

– სააკაშვილის გავლენებზე რა გითხრათ, მაგრამ სტრასბურის სასამართლოში ნონა წოწორიას ყოფნა პატარა ამბავი არ არის. ეს ადამიანი ადეიშვილის მარჯვენა ხელი იყო. რუსთავი 2-ის სარჩელი ევროსასამართლოს მეოთხე განყოფილებამ განიხილა. ამავე განყოფილებაშია წოწორიაც.

***– შეეძლო მას რაიმე გავლენის მოხდენა?***

– სტრასბურის სასამართლოს მოსამართლე ხელწამოსაკრავი ნამდვილად არ არის. ამ ქალბატონს დღემდე აქვს ნოსტალგიები ყოფილი ხელისუფლების მიმართ. ნაციონალების სატელიტებმა რამდენიმე კვირის წინ სპეციალურად ჩააგდეს ახალი მოსამართლის კანდიდატურები, რომ იქ წოწორიას ყოფნის ვადა გაეხანგრძლივებინათ.



ამ ხელისუფლებას ყველაფერი შეიძლება დააბრალო, მაგრამ მედიის შეზღუდვას ვერავინ დააბრალებს. ყველა იმას ლაპარაკობს, რაც უნდა. ხელისუფლებას ამის გაკეთება რომ სდომებოდა, აქამდეც გააკეთებდა.

***– ამის მიუხედავად, მაინც ბევრი პრობლემა შეიქმნა. დაიხურა რამდენიმე პოლიტიკური ტოკშოუ.***

– ამას ვერავინ გამორიცხავს. ამ ტოკშოუების დახურვა არხის მეპატრონეების გადაწყვეტილებაა და არა – ხელისუფლების. ბიზნესმენი თავად წყვეტს, ჩაეხუტოს თუ არა ხელისუფლებას.

ძალიან შეურაცხმყოფელია იმაზე საუბარიც, რომ რუსთავი 2 ერთადერთი თავისუფალი მედიაა საქართველოში. ამ ქვეყანაში, საბედნიეროდ, ძალიან ბევრი მედიასაშუალებაა, რომელიც ხელისუფლების ოპოზიციაშია, მაგრამ ისინი ნაციონალების დაკვეთებს არ ასრულებენ. ამ ტელევიზიებში ყველას იწვევენ, რუსთავზე კი – მხოლოდ ნაციონალებსა და მათ სატელიტებს.

ამ ტელევიზიის დამცველები სანამ ვინმესკენ გაიშვერენ ხელს, ის გაიხსენონ, 9 წელი სისხლიან რეჟიმს რომ ემსახურებოდა. არც ის დაგავიწყდეთ, რომ ვარდების რევოლუცია მათ მოახდინეს.

***– რუსთავი 2-ის გარდა, ნაციონალების რეჟიმს სხვა ტელევიზიებიც კარგად აპრავებდნენ.***

– რუსთავი 2-მა მაინც გადამწყვეტი როლი ითამაშა ყველაფერში. იმ 9 წლის განმავლობაში სპეცოპერაციებზე მხოლოდ რუსთავი 2-ის გადამღებ ჯგუფს უშვებდნენ. ამ არხს რომ შეხედავ, იფიქრებ, ქვეყანა იქცევაო. მხოლოდ მკვლელობასა და გაუპატიურებაზეა საუბარი.

***– მკვლელობა და გაუპატიურება თუ ხდება, მედიამ არ უნდა ილაპარაკოს?***

– როგორ არ უნდა ილაპარაკოს, მაგრამ დადებითიც ხომ უნდა გააშუქოს.

***– დადებითი თუ არაფერი ხდება, მაშინ?***

– ეს ხელისუფლება ბევრ რამეში მოიკოჭლებს, მაგრამ ბევრ კარგ საქმესაც აკეთებს. ესეც უნდა გააშუქოს მედიამ, თუ მას ობიექტურობაზე აქვს პრეტენზია. იმ დღეს თამარ ჩერგოლეიშვილმა თქვა, მედია დადებითს არ უნდა აშუქებდესო. ეს სისულელეა. მედია კარგზეც უნდა ლაპარაკობდეს და ცუდზეც. სააკაშვილის მიმართ ჩემი დამოკიდებულება ყველასთვის ცნობილია, მაგრამ, მეც კი მიხაროდა, როცა ვუყურებდი სიუჟეტებს, სადაც საუბარი იყო, რომ ქვეყანაში რაღაც კეთდებოდა.

მაშინ თუ საუბრობდნენ დადებით მოვლენებზე, ახლა რატომ საუბრობენ მხოლოდ უარყოფითზე? ეს იმიტომ ხდება, რომ ხალხის გაგიჟება და კიდევ ერთი რევოლუციის მოწყობა სურთ, რაც აღარ გამოვა. რუსთავი 2 კი თავის კანონიერ მფლობელს დაუბრუნდება.

# „დუშეთის მუნიციპალიტეტში ბიუჯეტიდან ფული ქრება“

## ნატალია ხოხიაშვილი: „გარემონტებული ხიდი ისეთ დღეშია, თუ მდინარე ადიდდა, შეიძლება, ხიდი წაილოს“

გულიკო ბალაძე

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის" თავმჯდომარე ნატალია ხოხიაშვილი, რომელიც სახელისუფლებო შტოებში კორუფციული სქემების გამოვლენაზე მუშაობს, „ახალ თაობასთან" დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებულ დარღვევებზე საუბრობს.**

***– დარღვევები ხშირია?***

– დარღვევები საკმაოდ ხშირია. რეგიონებიდან გვიკავშირდებიან მოქალაქეები, მეწარმეები და კორუფციული ფაქტების შესახებ გვაწვდიან ინფორმაციას. კანონს ძირითადად დაბალი რგოლის საჯარო მოხელეები არღვევენ.



***– რომელ რაიონებშია დარღვევები?***

– წალკის რაიონში დავიწყეთ მოკვლევა, რომელზეც აუდიტის სამსახურმა კრიტიკული დასკვნა დადო. ხშირად ჩავდიოდი წალკის რაიონში და იქ ვნახულობდი შეუსრულებელ ტენდერებს. კოშმარული სიტუაცია იყო – მილიონები წყალში იყო გადაყრილი. დავინტერესდი სხვა რაიონებითაც. თერჯოლის მუნიციპალიტეტში კურიოზული შემთხვევებიც კი იყო – ერთისთვის შესყიდულ მანქანას მისი შესყიდვის ფასის ნახევრის რემონტი დასჭირდა. ამიტომ გამიჩნდა ეჭვი, რომ ეს ფაქტი კორუფციასთან იყო დაკავშირებული.

ბოლოს მონიტორინგი განვახორციელეთ დუშეთის მუნიციპალიტეტში, საიდანაც მუდმივად მოგვდიოდა ინფორმაცია, რომ ინფრასტრუქტურული სამუშაოები ან არ სრულდებოდა, ან ხარვეზებით იყო შესრულებული. მეწარმეებისგან მოგვდიოდა კრიტიკული განცხადება-საჩივრებიც, რომ მუნიციპალიტეტი არ უწყობდა ხელს მეწარმეებს ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულებაში.

მოკვლევაში აუდიტის სამსახურის დასკვნაც დაგვეხმარა. კრიტიკული დასკვნების მიხედვით შევამოწმეთ რაიონები. აუდიტის დასკვნიდან გამომდინარე, დუშეთის მუნიციპალიტეტს ვეწვიეთ და გამოვკითხეთ რამდენიმე მეწარმე. ძალიან კრიტიკული დასკვნებია. დარღვევები ძირითადად მაღალმთიან რაიონებშია, სადაც ინფრასტრუქტურული სამუშაოები ცოტა ძნელად შესასრულებელია. ალბათ, იმასაც ფიქრობენ, ხალხი ქალაქიდან შორს არის და ვერავინ გაიგებსო.

***– ძალიან კრიტიკული დასკვნებიაო. აუდიტის სამსახურის უფროსი ჯერ კიდევ ნაციონალების დროს არის დანიშნული. შეგნებულად ხომ არ ხდება ვითარების მწვავედ წარმოჩენა?***

– ვერ დაგეთანხმებით. თუ აუდიტის სამსახური შეგნებულად დებს მწვავე დასკვნას, ამისთვის არსებობენ შესაბამისი ორგანოები, პროკურატურა და ფინანსური პოლიცია. ისინი უნდა დაინტერესდნენ. თუ აუდიტის სამსახურის დასკვნა რეალობას არ შეესაბამება, მაშინ კონკრეტული აუდიტორი უნდა დაისაჯოს. ერთხელ მოვისმინე, რომ აუდიტის სამსახურის დასკვნა სარეკომენდაციო ხასიათისაა.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# მიხეილ რამიშვილი: „შორენა თეთრუაშვილის ჩვენება მამა გიორგის უდანაშაულობაზე მიუთითებს“

ნათია ხურცილავა

**ციანიდის საქმესთან დაკავშირებით გუშინ დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატები პროკურატურაში იმყოფებოდნენ. რა საკითხზე იყო დაბარებული დაცვის მხარე პროკურატურაში? – ამის შესახებ „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ადვოკატი მიხეილ რამიშვილი საუბრობს.**

*– ბატონო მიხეილ, პროკურატურამ დეკანოზ მამალაძის საქმესთან დაკავშირებით საპროცესო საგამოძიებო მოქმედება ჩაატარა. რა ტიპის საგამოძიებო მოქმედებაზეა საუბარი?*

– დიახ, თქვენ სწორად აღნიშნეთ, პროკურატურაში დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმესთან დაკავშირებით საპროცესო საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა, რომელსაც დაცვის მხარეც დაესწრო. პროკურატურამ დეკანოზ გიორგი მამალაძის სახლიდან ამოღებული სეიფი გახსნა. გაიხსნა სეიფი და იქ არაფერი აღმოჩნდა. გამოძიებას შეიძლება ეჭვი ჰქონოდა, რომ რამე ყოფილიყო, ვინაიდან მამა გიორგი სეიფის გასაღებს, ე.წ. კოდს პროკურატურას არ აძლევდა. ჩვენი თანდასწრებით კი სპეციალისტის საშუალებით გაიხსნა სეიფი, თუმცა იქ არაფერი აღმოჩნდა. სწორედ ახლა, როდესაც თქვენ გესაუბრებით, მე პროკურატურაში ვიმყოფები ჩემს კოლეგებთან ერთად. სეიფი გაიხსნა, მაგრამ ცარიელია და იქ არაფერია.

*– თქვენი კოლეგა ფანცულაია ამბობს, რომ მამა გიორგის ჩვენება, შესაძლოა, მხოლოდ ერთი მიმართულებით არ იყოს. რას შეიძლება ეს ნიშნავდეს?*

– პროკურატურა ამბობს, რომ გარკვეული კრიტიკული კითხვები გააჩნია მამა გიორგისთან. არ გამოვრიცხავ, რომ ეს კითხვები მამა გიორგის სამსახურებრივ საქმიანობას უკავშირდებოდეს. ალბათ, გამოძიებას ამ მიმართულებით ექნება კითხვები, თუმცა, რა იგულისხმება კრიტიკულ კითხვებში, მე არ ვიცი.

*– დაკითხვა გაგრძელდება მას შემდეგ, რაც დეკანოზის ოჯახის უსაფრთხოება იქნება დაცული. აპირებს თუ არა დაცვის უზრუნველყოფას პროკურატურა?*

– ჯერჯერობით ამ საკითხზე ვერაფერს გეტყვით, რადგან კონკრეტულად არ ყოფილა საუბარი, როგორ შეიძლება გადაწყდეს ეს საკითხი. თუმცა გამორიცხული არაფერია.




*– რას გულისხმობთ?*

– იმას, რომ პროკურატურამ მამა გიორგის ოჯახს გამოუყოს დაცვა.

*– არ არის გამორიცხული, რომ მამა გიორგიმ თავის ჩვენებაში ისაუბროს სასულიერო და საერო პირებზე. რა სახის ჩვენებაზეა საუბარი?*

– გააჩნია, რა კითხვები ექნება პროკურატურას საქმესთან დაკავშირებით. ამ კითხვების შესაბამისად, პასუხიც ადეკვატურად იქნება გაცემული მამა გიორგის მხრიდან.

*– შესაძლებელია, სასულიერო პირებზეც და საერო პირებზეც მისცეს მამა გიორგიმ ჩვენება?*

– რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ, როგორც გითხარით, ეს დამოკიდებული იქნება გამოძიების კითხვებზე.

*– ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ. პროკურატურის მთავარი მოწმე ირაკლი მამალაძე აცხადებს, რომ იარაღი, რომელიც მამა გიორგის სახლში იქნა აღმოჩენილი, მას არ ეკუთვნის. თქვენ საწინააღმდეგო განაცხადეთ. რა შეგიძლიათ გვითხრათ?*

– ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი და ეს საკითხი უნდა გაირკვეს, უნდა დადგინდეს რეალობა. არის ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც ნათელს მოჰფენს ბევრ საკითხს და მათ შორის ამ კონკრეტულ საკითხსაც. გამოძიება დაადგენს ჩემი პოზიციის სიზუსტესა და საერთოდ რეალობას, ეკუთვნის თუ არ ეკუთვნის აღნიშნული იარაღი ირაკლი მამალაძეს.

*– ეს იარაღი გაფორმებულია?*

– არა, არ არის გაფორმებული.

*– მაშ, საიდან დგინდება, რომ იარაღი ირაკლი მამალაძეს ეკუთვნის? თუ საუბარია იმაზე, რომ სახლში მან მიუტანა?*

– დიახ, მამა გიორგიმ ბრძანა, რომ მას ეს იარაღი სწორედ ირაკლი მამალაძემ მიუტანა ძველით ახალ წელს და სთხოვა, რომ რამდენიმე დღით ყოფილიყო მასთან სახლში და შემდეგ წაიღებდა. დანარჩენი, მიზეზი, თუ რატომ დაუტოვა, რა უამბო ამ საკითხზე, რა იყო მიზანი ამ იარაღის მამაოსთან სახლში მიტანის – ამ საკითხებზე ძალიან ვრცლად ისაუბრებს მამა გიორგი თავის ჩვენებაში.

*– შორენა თეთრუაშვილის ჩვენება თუ ნახეთ და რაზეა საუბარი ამ ჩვენებაში?*

– შემიძლია, ერთი რამ გითხრათ: შორენა თეთრუაშვილის ჩვენებიდან გამომდინარე: ამ ჩვენებით საქმეში ანგარების არანაირი მოტივაცია არ არსებობს, რაზეც არის ბრალდებაში საუბარი. როგორც მოგეხსენებათ, ბრალდება მოტივად სწორედ ანგარებას ასახელებს. ამ ჩვენებით ასევე ირკვევა, რომ მამა გიორგის შორენა თეთრუაშვილის მოწამვლის განზრახვა ვერ ექნებოდა.

*– თქვენ ნახეთ შორენა თეთრუაშვილის ჩვენება?*

– დიახ და სწორედ მასზე დაყრდნობით ვსაუბრობ ამაზე. ჩემთვის თეთრუაშვილის ეს ჩვენება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა, საიდანაც ჩანს, რომ არანაირი განზრახვა არ შეიძლება ჰქონოდა მამა გიორგის მისი მოწამვლის. ამიტომ ვაცხადებ, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძის ბრალეულობაზე საუბარი, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

*– შორენა თეთრუაშვილის ჩვენებაში ძირითადად რაზეა საუბარი?*

– არაფერი განსაკუთრებული, საუბარია იმაზე, თუ რა ურთიერთობები ჰქონდა მამა გიორგისთან შორენა თეთრუაშვილს. ასევე, მათ შორის შეიძლებოდა თუ არა, რამე განზრახვა ყოფილიყო, მაგრამ ვერანაირი განზრახვა ვერ იქნებოდა. საპატრიარქოში თანამდებობაზე მამა გიორგი პატრიარქმა დანიშნა და არა – შორენა თეთრუაშვილმა.

*– საზოგადოებაში არის ასეთი მოსაზრება გავრცელებული, რომ შორენა თეთრუაშვილმა მამა გიორგის 500 დოლარი მისცა, რომ ციანიდი შეეძინა მისი ახლობელი ხატმწერისთვის. ამ ინფორმაციაზე თუ არის საუბარი ჩვენებაში?*

– ეს ის ნიუანსებია, რომლებიც გამოძიებამ უნდა დაადგინოს და გაარკვიოს.

ეს ყველაფერი რომ შეჯამდება, გამოძიების შედეგები დაიდება, მერე გაირკვევა. მტკიცებულებას თავისი იურიდიული ძალა გააჩნია. შესაბამისად, მტკიცებულებების ფონზე იწყება შეფასებითი კატეგორიის პროცესი, რომლის საშუალებითაც ირკვევა, რამდენად ამყარებს ბრალს ესა თუ ის მტკიცებულება.

შემიძლია, პირდაპირ გითხრათ, რომ შორენა თეთრუაშვილის ჩვენებები პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რასაც აქამდე ვამბობდი, რომ, თუ გონიერება ეყოფათ, ეს საქმე უნდა შეწყვიტონ.

*– ბატონო მიხეილ, თქვენ ხომ ჩვენება ნახეთ, როდესაც პროკურორი კითხვას უსვამს თეთრუაშვილს, მისცა თუ არა 500 დოლარი მამა გიორგის. ის რას პასუხობს?*

– ჩვენებაში ძალიან ბევრი კითხვაა დასმული. ახლა თქვენს ამ კითხვაზე ჩემი მხრიდან პასუხი ჩვენების გასაჯაროება გამოვა. მე პირდაპირ გპასუხობთ, თუ რა შთაბეჭდილება დამრჩა, როდესაც ჩვენებას გავეცანი: ამ ჩვენებით მამა გიორგის წინააღმდეგ ვერანაირი ბრალეულობა ვერ იკვეთება.

*– კიდევ ვინ არის დაკითხული? შეგიძლიათ დაგვიდასტუროთ, რომ საპატრიარქოდან ხუთიოდე სამოქალაქო პირია დაკითხული?*

– მე გიდასტურებთ, რომ საერო პირებიც არიან დაკითხული და სასულიეროც, მაგრამ არცერთი პირის ჩვენებით მამა გიორგის არანაირი ბრალეულობა, ამასთან შემხებლობაც კი არ იკვეთება.

*– სოსო ოხანაშვილი გერმანიიდან რომ დაბრუნდა, მას შემდეგ კიდევ ხომ არ დაკითხულა?*

– არა, ოხანაშვილი გერმანიიდან რომ დაბრუნდა, მაშინ დაკითხა პროკურატურამ.

*– ზიარების შესახებაც მინდა გკითხოთ. რა ინფორმაცია გაქვთ ამ საკითხზე?*

– ზიარების შესახებ გადაწყვეტილება საპატრიარქომ უნდა მიიღოს. ზიარების შეზღუდვა სასჯელაღსრულების სამინისტრომ მოხსნა, შესაბამისად, ახლა ეს საკითხი საპატრიარქომ უნდა გადაწყვიტოს.

*– პროკურორები ხომ არ შეცვლილან, ჯარჯი წიკლაურის გარდა, კიდევ ვინ არის საქმის პროკურორი?*

– ტყეშელაშვილი და გუბელაძე.

# ზაზა ხატიაშვილი: „რუსთავი 2-ის საქმის უკან ხელისუფლება დგას“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

რატომ არ მიდის საუბარი? რატომ პასუხისგებაში არ აძლევს იმ ხალხს, ვინც ეს ჩაიდინა?! რატომ მაინცდამაინც რუსთავი 2? იმიტომ, რომ მისი სარედაქციო პოლიტიკა არ მოგწონთ, ბატონებო?! საეჭვოდ არ გეჩვენებათ, დღეს ხალვაშიც და საგარეო საქმეთა მინისტრიც რომ სტრასბურში არიან, მათი ვიზიტი რომ ემთხვევა ერთმანეთს?!

*– ხალვაში მესამე მხარედ ჩართვას ითხოვს და ეს არც დაუმალავს.*

– ჩართვა შეიძლება მას შემდეგ, რაც პროცესი გაიმართება, ახლა სად უნდა ჩაერთოს?! ეს ძალიან ცუდი ფაქტია, ხელისუფლებამ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა. საერთოდ კომენტარიც კი არ უნდა გაეკეთებინა ამ საქმეზე, მათ კი საგარეო საქმეთა მინისტრი გააგზავნეს სტრასბურში. რა, ეს არ მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლება დგას ამ პროცესის უკან?!

უზენაეს სასამართლოში პროცესის მიმდინარეობისას 1.000 კაციანი აქცია გაიმართა და 10 იმდენი პოლიციელი იყო მობილიზებული. მთელი უზენაესი სასამართლო ალყაში იყო! ეს მიუთითებდა ხელისუფლების დაინტერესებაზე. ასეთი რამე ადრე მინახავს და როდესაც დღეს ვხედავ, მაქვს ლეგიტიმური ეჭვი, ასე ვიფიქრო. თუკი მოახერხებენ და შეცვლიან რუსთავი 2-ის სარედაქციო პოლიტიკას, ჩათვალეთ, რომ ბიძინა ივანიშვილი მედიასივრცეზე 100%-იან კონტროლს დაამყარებს.

*– თვლით, რომ დღეს მედია არ არის დამოუკიდებელი? შეზღუდულია მისი უფლებები?*

– თუ რუსთავი 2 გააჩერეს, ეს იქნება მედიისთვის დამღუპველი. საზოგადოების დიდი ნაწილი სატელევიზიო მედიაზეა გადასული. რუსთავი 2-ის სარედაქციო პოლიტიკა უნდა გადარჩეს. ხელისუფლების მაკრიტიკებელი მედია უნდა დარჩეს საინფორმაციო ველზე!

*– თუ სტრასბურის სასამართლომ დაიწყო ამ საქმის განხილვა, ეს პროცესი დროში გაიწელება?*

– ამ საქმეს პრიორიტეტი მისცეს და ის პირველ რიგში უნდა განიხილონ. მთავარია, ეს გადაწყვეტილება აღსრულების შეჩერებაზე ძალაში დარჩეს, სარედაქციო პოლიტიკა არ შეიცვალოს და დაველოდოთ ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებას. იმდენად ბევრი მტკიცებულებაა იმისა, რომ, სავარაუდოდ, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი, სტრასბურის სასამართლოს არ უნდა გაუჭირდეს გადაწყვეტილების გამოტანა.

*– როდესაც არსებობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, ქართულ მხარეს შეუძლია არ გაითვალისწინოს ევროპული სასამართლოს მითითებები?*

– ეს გამორიცხულია! ამის გაკეთება და საქართველოს დასამარება ერთი იქნება. შენ ჩაგთვლიან, როგორც ბანანის სახელმწიფოს, შენთან გაწყდება ყველანაირი კავშირი, შენთან მოხდება ვიზალიბერალიზაციის შეჩერება და გაღიარებენ სახელმწიფოდ, რომელსაც მიჰყავს ქვეყანა ავტოკრატიისკენ! ეგეთი რამე სააკაშვილსაც კი არ გაუკეთებია!

*– პრემიერი ახალი ინიციატივით შემოდის და მედიაომბუდსმენის ინსტიტუტის დაარსებას აანონსებს. ეს ინიციატივა როგორ გაიგეთ?*

– მე გავიგე ისე, რომ ქვეყანა ჩავარდა კატასტროფაში! ის, რომ სტრასბურის სასამართლო პრეცედენტს ქმნის საქართველოსთან და გამოაქვს 39-ე მუხლიდან გამომდინარე დროებითი ღონისძიება აღსრულების ვადის შეჩერებაზე, არის სახელმწიფოს სიკვდილი! როცა პირველად შენთან მიმართებაში ამას იყენებენ ევროსასამართლოს 55– წლიან ისტორიაში! ეს თავისთავად უკვე სამარცხვინო ფაქტია.

*– მოჰყვება ამას უკურეაქციები?*

– აუცილებლად! უკვე დაიწყო ევროპარლამენტში დებატები, რომ საქართველოს ვიზალიბერალიზაცია უნდა შეუჩერონ. ამ ფონზე პრემიერი ცაიტნოტში ვარდება და აკეთებს განცხადებას მედიაომბუდსმენის თაობაზე. ჭაობიდან თითქმის გამოსული რომაა ადამიანი და უკან რომ გადახტება, აი, ამ სიტუაციაშია დღეს საქართველოს ხელისუფლება! აქ მეორე ფაქტორიც არის.

*– რომელი?*

– დღევანდელმა ომბუდსმენმა დაიწყო ძალიან კარგად თავისი მოვალეობის შესრულება. იგი აკეთებს ძალიან საჭირო განცხადებებს, განსაკუთრებით რუსთავი 2-თან მიმართებაში და აქედან გამომდინარე უნდათ, რომ რაღაცნაირად მოხდეს ამ ადამიანის უფლებების სხვაზე დელეგირება. ეს არის კიდევ ერთი სისულელე და შეცდომა.

*– 8 მარტს რუსთავი 2-ის საქმესთან ერთად სტრასბურში მერაბიშვილის საქმის განხილვაც იგეგმება. თქვენ სახალხო დამცველიახსენეთ და თეა წულუკიანმა ბრალი დასდო უჩა ნანუაშვილს, ვანო მერაბიშვილს მოწმედ დაუდგაო. ამ საქმიდან რა მოლოდინი გაქვთ?*

– ეს არასწორი ინფორმაციაა. როგორ შეიძლება წულუკიანის განცხადებები ვინმემ სერიოზულად აღიქვას. წულუკიანმა მის ცნობილ პრესკონფერენციაზე ამერიკის ელჩსაც დაარტყა და მასაც დასდო ბრალი. სექტემბერში, როდესაც აქცია ჩავატარე და განვაცხადე, რომ დაიბლოკა ევა გოცირიძის კანდიდატურა, წულუკიანმა ბრალი დამდო, ხატიაშვილი იტყუებაო. მას მოსთხოვეს, სია შეეცვალა, მაგრამ ეტყობა, საქართველოს დიდი ფეოდალი არ იყო ამის მომხრე და ვნახეთ კიდეც, საქართველომ რა სირცხვილი ჭამა და სია დაიბლოკა. წულუკიანმა კი მე დამაბრალა ამ სიის ჩაგდება. წულუკიანი უჩა ნანუაშვილის შემთხვევაშიც ცრუობს!

*– არ დაუდგა მოწმედ ნანუაშვილი ვანო მერაბიშვილს?*

– უჩა ნანუაშვილს, როგორც სახალხო დამცველს, აქვს მოხსენებები ყველა საქმეზე, როცა ხდება ადამიანის უფლებების დარღვევა. ჩემი შეფასება ვანო მერაბიშვილზე არის ძალიან ცუდი. ის სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი საყრდენი იყო.

ყველაზე დიდი სირცხვილი არის ის, რომ სააკაშვილის რეჟიმის მთავარი საყრდენი თეა წულუკიანის და იუსტიციის სამინისტროს უთავბოლობის გამო, ევროპულმა სასამართლომ აღიარა, როგორც პოლიტიკური პატიმარი! ეს მთლიანად თეა წულუკიანის და იუსტიციის სამინისტროს კისერზეა!

იმდენად ძლიერი იყო მერაბიშვილის ადვოკატი და იმდენად სუსტი იყო იუსტიციის სამინისტრო, რომ მერაბიშვილი აღიარეს პოლიტპატიმრად. იუსტიციის სამინისტრო პროცესს პროცესზე აგებს თავისი უუნარობის გამო და სწორედ ამიტომ გვესმის ეს არაადეკვატური განცხადებები. აბა ნანუაშვილი რისი უფლებადამცველია? ის ვალდებულია, რომ ყველა დარღვევა თავის მოხსენებაში მოიხსენიოს.

*– კანონი დაირღვა მერაბიშვილთან მიმართებაში?*

– ამ მთავრობამ მერაბიშვილს გაუკეთა ის, რასაც მერაბიშვილი სხვას უკეთებდა. თუმცა მერაბიშვილს ჰყავდა მაგარი ადვოკატი და ეს დაამტკიცეს. ეგონათ, რომ მერაბიშვილს რასაც გაუკეთებდნენ, ხახვივით შერჩებოდათ. სახალხო დამცველი ვალდებულია, ყველა კანონდარღვევა თავის მოხსენებაში ასახოს. ვანო მერაბიშვილი საკნიდან გაიყვანეს უკანონოდ და მან ეს თქვა.

# სოსო მანჯავიძე: „ნაციონალებს პროვოკაციების საშუალება არ უნდა მივცეთ“

## „კოლუაშვილის სიტყვები ზონდაჟი იყო“

მარიამ მჭედლიშვილი



**ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა" ესაუბრა თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელ დეპუტატ სოსო მანჯავიძეს**

***– მოსალოდნელია, რომ მალე ვანო მერაბიშვილს გამოუშვებენ ციხიდან. როცა გიგი უგულავა და ვანო მერაბიშვილი დადებითად მოიხსენია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრმა დავით კოლუაშვილმა, ის პარტიის ლიდერებმა საჯაროდ გაკიცხეს. ახლა მტკიცდება, რომ მათი გათავისუფლება ჩაფიქრებული იყო, კოლუაშვილს კი ნიადაგი მოასინჯინეს.***

– ასე გამოდის. კოლუაშვილის განცხადებები ზონდაჟი ყოფილა. უგულავას გათავისუფლებას ვერავინ წარმოიდგენდა. არჩევნების წინ ეს არ გააკეთეს. არჩევნების შემდეგ უგულავა გამოუშვეს. არ იქნება გასაკვირი, თუ ციხეს მერაბიშვილიც დატოვებს. ეს ყველაფერი ბუნებრივია და იწერება საერთო კონტექსტში. საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, არ აწყენინოს იმ ძალებს, რომლებიც მფარველობდნენ და ახლაც მფარველობენ ნაციონალურ მოძრაობას.

***– საერთო კონტექსტში რა იგულისხმება?***

– გამძაფრებული ბრძოლა, რომელიც მარტო საქართველოში არ მიმდინარეობს. ლიბერალური ინტერნაციონალი უპირისპირდება მოწინააღმდეგეებს. ამ ტალღამ მოიცვა მსოფლიო. ნეოლიბერალები წყობიდან გამოიყვანა დონალდ ტრამპის გამარჯვებამ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში. მათ რევანშისტული მოქმედებები პრეზიდენტის ინაუგურაციამდე დაიწყეს.

***– საქართველოს მაშინვე შეეხო ეს რევანშისტული მოქმედებები?***

– რასაკვირველია. საახალწლოდ საქართველოში ჩამოვიდა ამერიკელი სენატორების სამკაციანი დელეგაცია. სენატორებმა მაკეინის მეთაურობით აქ ინსტრუქციები გასცეს. მაკეინმა ბრძოლის გააქტიურება დაავალა იმათ, ვინც მის მითითებებს ასრულებს.

ამ ბრძოლისათვის დიდი ფულია გამოყოფილი. ამ მიზნით თანხებს არ იშურებს სოროსი. ამაში, პარტიების გარდა, მონაწილეობენ არასამთავრობო ორგანიზაციები. ამავე კონტექსტში მოიაზრება რუსთავი 2-ის გარშემო ატეხილი ამბები. ლიბერალურ ინტერნაციონალს დაგეგმილი აქვს ახალი რევოლუციის მოწყობა საქართველოში. ამის შესახებ მუქარა უკვე 5 წელიწადია ისმის. ყველაფერი ხელისგულზე დევს.

ხალხის გამოყვანა რომ შესძლებოდათ, ნაციონალები აქამდე დაამხობდნენ ამ ხელისუფლებას, რომელსაც მაკეინი და მისი თანამოაზრეები არ ენდობიან. ეს ხელისუფლება სუსტი და მოწყვლადია. ის ცდილობს, მოიმადლიეროს ნაცმოძრაობის უცხოელი მფარველები.

***– რუსთავი 2 ამ დაპირისპირების ნაწილია?***

– დაგეგმილია რევოლუცია. ეს რუსთავი 2-ის გარეშე წარმოუდგენელია. ამ ძალებისთვის აუცილებელია კონტროლი ამ ტელევიზიაზე. ლიბერალური ინტერნაციონალი ერევა ამ პროცესებშიც. ძალიან ცუდ როლს ასრულებს ამ ყველაფერში საქართველოს პრეზიდენტი.

***– კერძოდ?***

– პრეზიდენტი მუდმივად ცდილობს ხელისუფლების დელეგიტიმაციას. გიორგი მარგველაშვილი ლიბერალური ინტერნაციონალის წარმომადგენელია. ის არის საქართველოში სოროსის ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი. მარგველაშვილი გარკვეულ დროს თამაშობდა ოპოზიციონერის როლს. რეალურად, ის ოპოზიციონერი არ ყოფილა. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ბიძინა ივანიშვილმა ის პრეზიდენტობის კანდიდატად საკუთარი ჩანაფიქრის საფუძველზე წამოაყენა, ძალიან ცდება. ეტყობა, გეოპოლიტიკური სიმშვიდე, რომელიც საქართველოში ბოლო წლებში დამკვიდრდა, მთავრდება.

***– ასე დაიძაბება სიტუაცია?***

– მაკეინი საქართველოში ჩამოსვლამდე უკრაინაში იმყოფებოდა. მისი მიზანი ტრამპის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში რუსეთისთვის პრობლემების შექმნაა. ამისთვის მას უნდა უკრაინის ბრძოლის ველად გადაქცევა. საქართველოს ხელისუფლებას მაკეინი სანდო პარტნიორად არ მიიჩნევს და ყველაფერს აკეთებს, რომ არიოს ვითარება.

საქართველოს მოწყვლადი ხელისუფლება ამ სიტუაციაში გამოსავალს ეძებს და თანხმდება ზოგიერთ რაღაცას. მაგალითად, უგულავას გამოშვებას. მას უნდა ე.წ. პოლიტპატიმრების თემის მოხსნა. ეს ტაქტიკა სწორად არ მიმაჩნია, ისევე, როგორც კოაბიტაცია.

***– ნაციონალურ მოძრაობას აქციები ადრეც გაუმართავს, მაგრამ ბოლო დროს მომხრეები მოუმრავლდა. 12 მარტსაც დაგეგმილია აქცია.***

– მათი მომხრეების მომრავლებას თავისი ახსნა აქვს. ჯერ ერთი, მას, ვინც ადრე ამას ვერ ბედავდა, ახლა ხელისუფლების აღარ ეშინია. მეორეც, ხალხში პროტესტი იზრდება. საზოგადოება უკმაყოფილოა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობით. ვფიქრობ, რომ მასობრივი პროტესტის ორგანიზება მაინც არ გამოუვათ. მაქსიმუმ, შეიძლება 5.000 კაცი გამოიყვანონ ქუჩაში.

ბოლო დროს ყველა პარტიამ გამოაჩინა თავისი ნამდვილი სახე. ნაციონალების სატელიტები აღარ იმალებიან. ჩვენ ნაციონალებს და მათ პატრონებს პროვოკაციების მოწყობის საშუალება არ უნდა მივცეთ. ეს ხალხი დამანგრეველია. ეს არაჯანსაღი ადამიანები იწვევენ ნგრევას მაშინაც კი, როცა რაღაცას აშენებენ. შეიძლება ამ რენეგატებმა ისე შორს შეტოპონ, რომ უფრო მეტი პროტესტი გამოიწვიონ საზოგადოებაში. მაშინ კი საზოგადოებაც გამოვა. გულხელდაკრეფილი არც მე დავჯდები. სააკაშვილის რეჟიმთან ბრძოლის გამოცდილება მაქვს და ახლაც წინ აღვუდგები მათ პროვოკაციებს.

# „დუშეთის მუნიციპალიტეტში ბიუჯეტიდან ფული ქრება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

გავიგეთ, სარეკომენდაციო ხასიათის რომ არის, მაგრამ, როდესაც მუდმივად მეორდება დარღვევები და ათასობით ლარი, ბიუჯეტის ფული გამქრალია, აქ რეკომენდაციებზე საუბარი ზედმეტია.

***– მაგალითად, რომელ მუნიციპალიტეტშია გამქრალი ბიუჯეტის ფული?***

– დუშეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ყველა ტენდერზე (რაც აუდიტის სამსახურის მიერაა განხილული) დაახლოებით 10-15-20 ათასი ლარით ნაკლები თანხაა გადახდილი კონკრეტულ მეწარმეზე. მიჩნდება ეჭვი, რომ თანხები „ატკატებზე“ მიდის.

***– კონკრეტულად რა გიჩენთ ეჭვს, რომ თანხა გადახდილია „ატკატებზე“?***

– მაგალითად, 2013 წლის აგვისტოში შპს „მშენებელი-21+-სთან“ გაფორმდა ხელშეკრულება 885.000 ლარის სამუშაოების შესასრულებლად. ჩასატარებელი იყო ნაპირსამაგრი სამუშაოები. ნაპირსამაგრი სამუშაოები დასრულებული არ იყო და, მიუხედავად იმისა, რომ სამხარაულის ექსპერტიზის ბიურომ დასკვნა დადო, პროექტი უხარისხოა და იმ პროექტით სამუშაოების შესრულება არ შეიძლებაო, დუშეთის მუნიციპალიტეტმა სამუშაოები კონკრეტულ შპს-ს მაინც ჩაატარებინა და 869.000 ლარი მაინც გადაუხადა.

***– ე.ი. ტენდერის ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის სხვაობა „ატკატებშია“ გადახდილი?***

– დიახ. დუშეთის მუნიციპალიტეტმა რატომ გადასცა ეს თანხა, თუ ფარული გარიგება არ იყო?!

***– სამუშაოებისთვის თანხა არ უნდა ჩაერიცხა?***

– არა, სამუშაოები დასრულებული არ იყო, მათი აშენებული ჩაინგრა. შეუსრულებელ სამუშაოზე მუნიციპალიტეტმა თანხა გადაურიცხა. გონივრული ეჭვი ჩნდება, რომ მუნიციპალიტეტმა ეს თანხა, სავარაუდოდ, რაღაცის ფასად გადარიცხა.

ბაგის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გამოცხადებულ ტენდერში, პროექტის მიხედვით, სამუშაოების შესასრულებლად 590 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. სამუშაოების მწარმოებელს გადაერიცხა 570 ათასი ლარი. 20 ათასი ლარი სხვაობაა. 20 ათასი ლარი სად წავიდა? ალბათ, ამის ხარჯზე გამგებელს ან სხვა ვინმეს უნდა მისცეს „ატკატი“.

მე არავის ვადანაშაულებ. ისე ხდება, რომ ან სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ, ან რაღაცას აკლებენ. აღმოჩნდა, რომ ჩატარდა ასფალტის დაგების სამუშაოები, რომლებიც არ იყო დასრულებული. ასფალტი უნდა დაგებულიყო სანიაღვრე არხის პირამდე. ჩატარდა სამუშაო და სანიაღვრიდან 1 მეტრის მოშორებით დაიგო ასფალტის საფარი. სანიაღვრე არხიდან გზამდე ასფალტი დაუგებელი დარჩა. ფაქტია, რომ იმ 20 ათასმა ლარმა გავლენა მოახდინა შესრულებული სამუშაოების ხარისხზე.

***– სამუშაო შესასრულებელი იმიტომ დარჩა, რომ ფული არ იყო გადახდილი?***

– დიახ. გზა სრულად რომ გაკეთებულიყო, დუშეთის მუნიციპალიტეტმა ხელახალი ტენდერი გამოაცხადა და 29 ათასი ლარი გამოყო. ფაქტობრივად, ის გზა, რომელიც უნდა დამჯდარიყო 590 ათასი, დაჯდა 600 ათასზე მეტი. 19 ათასი ლარით მეტი თანხა იქნა გადახდილი. ვიღაცის ჯიბეს ეწირებიან მეწარმეები და ინფრასტრუქტურული პროექტები.

***– მუნიციპალიტეტის გამგეობამ ტენდერით გათვალისწინებულ თანხებზე 10-15-20 ათასი ლარით ნაკლები გადაუხადაო. დარჩენილ თანხას როგორ აიღებს გამგებელი ან სხვა ჩინოვნიკი?***

– სულ მარტივად.

***– დარჩენილი თანხა ჯიბეში ხომ არ აქვს, მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არ დევს?***

– ფაქტია, რომ არ ჩანს.

***– ანგარიშიდან თანხა მთლიანად არის გადარიცხული, მაგრამ სამუშაოების მწარმოებელ ფირმას მთლიანად არ მიუვიდა? რაღაც გაუგებარია.***

– სამუშაოების მწარმოებელს 590 ათასის ნაცვლად 570 ათასი ლარი მიუვიდა. 20 ათასი ლარი სად წავიდა, ეს არის პრობლემა. გამგეობის ბიუჯეტში კონკრეტული ტენდერისთვის რა თანხაც იყო გამოყოფილი, ის თანხა სად წავიდა, გამოძიებამ უნდა დაადგინოს.

***– თუ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშიდან თანხა სადმე არ გადარიცხულა, სად წავიდოდა?***

– აუდიტი იმასაც ნახავდა, მშენებელზე გადარიცხული რომ ყოფილიყო. შეიძლება, კერძო პირს გადაერიცხა. ფაქტია, რომ სამუშაოები ხარვეზებით შესრულდა.

***– აუდიტს არ დაუდგენია, ვთქვათ, დარჩენილი 20 ათასი დევს თუ არა ანგარიშზე ან სად წავიდა 20 ათასი ლარი? შეიძლება, მუნიციპალიტეტის ანგარიშზე დევს.***

– აუდიტი არ არის ვალდებული, ეს დაადგინოს. აუდიტი ამოწმებს შესრულებული სამუშაოების ხარისხსა და გადარიცხული თანხების რაოდენობას.

***– ანუ ეს გამოძიების საქმეა.***

– დიახ, ეს გამოძიების საქმეა. მეც ვიფიქრებდი, თანხა გამგეობის ანგარიშზე დევს და რაღაცაში გამოიყენეს-მეთქი, მაგრამ მუდმივად, ყველა ტენდერში ნაკლები თანხების გადარიცხვა აჩენს ეჭვს.

***– მაინც, რატომ აჩენს ეჭვს?***

– ეჭვს აჩენს, რადგან არსებობენ კომპანიები, რომლებიც დაახლოებულნი არიან მუნიციპალიტეტის გამგებელთან, რომლებიც უხარისხოდ ასრულებენ სამუშაოებს. მაგალითად, შპს „ტექსერვისი“, რომელმაც შეასრულა ოშპიტელის ხიდის სამუშაოები, 130 ათას ლარიანი ტენდერი იყო. საერთო ღირებულებამ, რომელზეც ხელშეკრულება გაფორმდა, შეადგინა 118 ათასი ლარი, თუმცა აღმოჩნდა, რომ კომპანია, რომელმაც ტენდერი მოიგო, არის გამგეობის ფირმა. 100%-იანი წილის მფლობელი ამ ფირმაში დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაა.

***– ოფიციალურად?***

– დიახ.

***– რატომ გამოაცხადეს გამარჯვებულად, უკეთესი პირობები შესთავაზა?***

– უკეთესი პირობებიც შესთავაზა და თან დუშეთის გამგეობის იყო. ალბათ, გამგებელმა გადაწყვიტა.

***– გამგებელი წყვეტს, ტენდერში ვინ გამოცხადდეს გამარჯვებულად?***

– სატენდერო კომისია წყვეტს, მაგრამ გამგეობის ფირმა იყო. „ტექსერვისის“ დირექტორი გამგებელთან დაახლოებული პირია. სატენდერო კომისიასაც ხომ ის გამგეობა ადგენს. სატენდერო კომისიაში განაცხადს ყველაზე ბოლოს შეიტანდა „ტექსერვისი“, ტენდერში მონაწილე ფირმებზე ცოტათი ნაკლებ ფასს მიუთითებდა და ტენდერსაც ის მოიგებდა. ამის გაკეთება მათთვის პრობლემა არ არის.

***– დასკვნაში არ წერია, რატომ მიანიჭა სატენდერო კომისიამ ამ კომპანიას უპირატესობა?***

– საინტერესოა, რატომ მიანიჭა უპირატესობა. „ტექსერვისმა“ მიუთითა, რომ მას ჰქონდა ყველანაირი ტექნიკა და შეეძლო, ყველანაირი სამუშაო ჩაეტარებინა, ანუ თავისუფლად შეეძლო, აღნიშნული ხიდის სარემონტო სამუშაოები შეესრულებინა.

***– ხომ შეიძლება დავუშვათ, რომ კომპანიას მართლაც ჰქონდა ტექნიკა და შეეძლო, სამუშაოები უკეთესად შეესრულებინა?***

– შეიძლება, ეს დავუშვათ. სატენდერო კომისია არ არის ვალდებული, იმ წუთში ტენდერში მონაწილე ფირმის ტექნიკური მდგომარეობა შეამოწმოს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მიმწოდებელ ფირმას არ გააჩნდა არსებული პროექტით მოთხოვნილი სამუშაოს (ხიდის გაკეთების) შესრულების რესურსი. „ტექსერვისს“ სატრანსპორტო სამუშაოებიც კი არ ჰქონდა ხიდის სარემონტო სამუშაოებისთვის.

***– მაშინ სამუშაოები როგორ შეასრულა?***

– რადგან ვერ ასრულებდა, პროექტი შეცვალა. გამგეობას მიმართა, რომ მხოლოდ შეცვლილი პროექტით შეასრულებდა სამუშაოებს. 12.300 ლარით ნაკლები სამუშაოები შესრულდა ამ კონკრეტულ შემთხვევაში. მე თვითონ ვიყავი იმ ხიდზე და ვნახე, რა აქვს გაკეთებული. ხიდის სარემონტო სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო, მათ შორის, რკინის ბურჯები უნდა გამოცვლილიყო. ხიდი იმდენადაა მოძველებული, თუ მდინარე ადიდდა, შეიძლება, ხიდი წაიღოს.

***– ვინმემ ექსპერტიზა ჩაატარა, რომ დაგეგმილი სამუშაოები არ არის შესრულებული?***

– ჯერჯერობით არის აუდიტის სამსახურის დასკვნა. ამით უნდა დაინტერესდეს გამოძიება.

***– რამდენადაც ვიცი, დასკვნა პროკურატურაშია გადაგზავნილი.***

– დუშეთში ასეთი მდგომარეობა 2013 წლიდან არის. ჩემთან მუდმივად მოდიან ადამიანები, მუნიციპალიტეტში არსებულ დარღვევებსა და სოფლების პრობლემებზე მიყვებიან. მას შემდეგ, რაც დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლად გიზო (ვაჟა) ჩოხელი დაინიშნა, მუდმივად საუბარია პრობლემებზე.

***– დაინიშნა თუ აირჩიეს?***

– ჯერ დაინიშნა, შემდეგ აირჩიეს. 2013 წლის შემდეგ არცერთი სამართალდამცავი ორგანო არ დაინტერესებულა. დაწყებული გამოძიების შედეგი მე არ მინახავს. გამგებელს აქვს სქემა – მიზანმიმართულად მუშაობს იმ შპს-ების წინააღმდეგ, რომლებიც იგებენ ტენდერებს, მათ უქმნის ყველანაირ პირობას, იძულებული გახდნენ და მიატოვონ სამუშაოები, ან კონკრეტული თანხა, რომელსაც მათგან შუამავალი მოითხოვს, გადაიხადონ.

გამგეობა საჭირო თანხას დროულად არ უხდის შპს-ს. ის შპს მიდის დარღვევებზე და აჯარიმებენ. თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ გამგებლისაგან მიგზავნილი შუამავალი საქმის თავისებურად მოგვარებას ცდილობს. გამგეობაში იკარგება ფორმა-2-ები, რაღაც მასალები.

***– გამგებელს შეხვდით?***

– გამგებელს ვერ შევხვდი. იმ დროს, როცა მე ვიყავი დუშეთში, გამგებელი სტრასბურში იყო წასული. ალბათ, სტრასბურსა და დუშეთს ამეგობრებს. მე და ჩემი მეგობრები ამ საქმეს ასე არ დავტოვებთ, ვგეგმავთ აქციებს დუშეთის გამგებლის გადადგომის მოთხოვნით. არ დავიშლებით მანამ, სანამ ხელისუფლება ამასთან დაკავშირებით შესაბამის ზომებს არ მიიღებს.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# მთავრობამ მზის ელექტროსადგურის მშენებელ კომპანიასთან მემორანდუმი შეწყვიტა

## ინვესტორი 300.000 დოლარის ზარალზე საუბრობს

მთავრობამ გარდაბანში მზის ელექტროსადგურის მშენებელ ამერიკულ „ჰედუოლ პაუერთან“ გაფორმებული მემორანდუმი გაწყვიტა.

მთავრობის 21 თებერვლის განკარგულების მიხედვით ირკვევა, რომ მემორანდუმის შეწყვეტის მიზეზი შეთანხმებით განსაზღვრული ვადების დარღვევა გახდა.

ამერიკულ „ჰედუოლ პაუერსა“ და მის ქართველ პარტნიორ „მზის ენერგიის კომპანიასთან“ მემორანდუმი გასული წლის აპრილში გაფორმდა. მემორანდუმის მოქმედების ვადა ერთი წელი იყო. „მზის ენერგიის კომპანიას“ გარდაბანში მზის ენერგიის პოტენციალის შესწავლა და პროექტში 120 მილიონი დოლარის დაბანდება სურდა.

„მზის ენერგიის კომპანიის“ ხელმძღვანელი ვახტანგ კომახიძე რადიო „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, რომ მემორანდუმის შეწყვეტის რეალური საფუძველი არ არსებობდა და კომპანია მემორანდუმით გათვალისწინებულ ვადებში ჯდებოდა.

– მემორანდუმი იყო ერთწლიანი და ვადა აპრილში გასდის. ჩვენ მთავრობას მივმართეთ კვლევის პროცესში შიდა სამუშაოების ვადების გახანგრძლივების თხოვნით, რაც მემორანდუმის საბოლოო თარიღზე არ აისახებოდა, თუმცა ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილისგან მივიღეთ წერილი შეთანხმების შეწყვეტის თაობაზე. რა გახდა ამის საფუძველი, გაუგებარია, – აცხადებს კომახიძე.



მისივე თქმით, შეუთანხმებლობის საგანი რეალურად სატარიფო პოლიტიკა იყო. ირკვევა, რომ თავის დროზე მემორანდუმის გაფორმებამდე კომპანიის წარმომადგენლებმა კახი კალაძესთან შეხვედრის დროს მიიღეს დაპირება, რომ ტარიფი იქნებოდა 6,5 ცენტი, თუმცა მოგვიანებით პირობები შეიცვალა და გახდა 6 ცენტი. კომახიძის თქმით, „მზის ენერგიის კომპანია“ მზად იყო 6 ცენტზე სასაუბროდაც და ტარიფის საბოლოოდ დასადგენად მოითხოვა შიდა სამუშაოების გრაფიკის გადავადება, თუმცა პასუხად მემორანდუმის გაუქმება მიიღო.

– არც ერთი ბიზნესი ენერგეტიკაში არ კეთდება საორიენტაციო ფასის გარეშე. ჩვენ მოლაპარაკებები გვქონდა ამ საკითხზე, თუმცა მინისტრის მოადგილე დღეს უარყოფს, რომ ფასზე საუბარი იყო. კომპანიას არ აქვს უფლება, თვითონ გაყიდოს ენერგია, ის ვალდებულია, მიჰყიდოს ბაზარს. უნდა დადგინდეს ტარიფი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ამის გარეშე ბიზნესი არ იწყება.

სამინისტრომ გვითხრა, რომ სავალუტო ფონდისგან მიიღეს რეკომენდაცია, თითქოს ტარიფი 6 ცენტზე მეტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს რეკომენდაცია სინამდვილეში არ არსებობს. მაშინ, როდესაც ჰიდროენერგეტიკა უფრო იაფი ღირს, ენერგეტიკის სამინისტროს ორჯერ მეტი აქვს გადახდილი ჰიდროელექტროსადგურებისთვის, – აცხადებს კომახიძე.

მისივე განმარტებით, კომპანიამ ჩაატარა კვლევები, რაშიც ასი ათასობით დოლარი დაიხარჯა, ამიტომ უმნიშვნელოვანესი იყო ტარიფის საკითხი.

„მზის ენერგიის კომპანიის“ ხელმძღვანელის განცხადებითვე, მთავრობა, როგორც წესი, ინვესტორს ხელს უწყობს საქმიანობაში და ვადებთან დაკავშირებით არასოდეს იქმნება პრობლემა, ამიტომ ეს გადაწყვეტილება ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს.

ვახტანგ კომახიძის თქმითვე, კვლევებზე 300 ათას დოლარამდე დაიხარჯა და დღეს ინვესტორი გაკვირვებულია. როგორი იქნება სამოქმედო გეგმა, უცნობია, კომპანიას კი ენერგეტიკის სამინისტროსთან შეხვედრა და საკითხის გარკვევა სურს.

– მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს, ძალიან მინდოდა ამ პროექტის გაკეთება. თავის დროზე წინასაარჩევნოდ კარგი პიარი იყო მთავრობისთვის, რომ მზის ენერგეტიკაში კეთდებოდა პროექტი, თუმცა დღეს გაუგებარ სიტუაციაში ვართ, – დასძენს კომახიძე.

* * *

ენერგეტიკის სამინისტროში საკითხთან დაკავშირებით განმარტავენ, რომ შპს „მზის ენერგიის კომპანიამ“ დაარღვია მემორანდუმით გათვალისწინებული პირობები. კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის წარმოდგენის ვადები. შესაბამისად, აღნიშნული მემორანდუმი საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 თებერვლის №294 განკარგულების საფუძველზე მიჩნეულ იქნა შეწყვეტილად.

„მზის ენერგიის კომპანიის“ გარდა მზის ელექტროსადგურების მშენებლობას „კავკასიის მზის კომპანია“ გეგმავს, რომელსაც ამ ეტაპზე ქვეყნის მასშტაბით 10 ლოკაცია აქვს შერჩეული.

**სალომე სოსელია, კომერსანტ.გე**

# საწვავის ფასი უსაფუძვლოდ მაღალია



ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია საწვავის ბაზრის მორიგ კვლევას ასაჯაროებს.

როგორც აფბას ვიცე-პრეზიდენტი, პაატა ბაირახტარი განმარტავს, კვლევა უკანასკნელ ოთხთვიან პერიოდში, როგორც საქართველოში ისე საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე პროცესებს აღწერს, რომელთა შესწავლის საფუძველზეც ირკვევა, რომ ბაზარზე ხელოვნურად დაჭერილი ფასების პოლიტიკა და არაჯანსაღი გარემო შენარჩუნებულია.

– ქართულ საწვავის ბაზარს ფასების ზრდის ტალღამ პირველად 2016 წლის დეკემბერში გადაუარა და 2016 წლის 27 დეკემბრიდან დღემდე საწვავის ფასი ზრდის მიმართულებით 8-ჯერ დაკორექტირდა. უფრო კონკრეტულად კი 2016 წლის დეკემბრის მიწურულიდან კომპანიებმა დაიწყეს ფასების ზრდა საწვავზე, ყველა საწვავის ფასის განმაპირობებელი, ფუნდამენტური ფაქტორების უცვლელობის პირობებში. რითიც წინასწარ ჩადეს საწვავის ფასში მოსალოდნელი აქციზის გაძვირება (წინასწარ გააძვირეს საწვავი), – განაცხადა პაატა ბაირახტარმა.

ამის შემდეგ 2016 წლის დეკემბრის ბოლოდან 2017 წლის იანვრის ბოლომდე, კომპანიებმა სულ 5-ჯერ გაზარდეს საწვავის ფასი, ამ მომენტისთვის კომპანიებს აქციზის გადასახადის ზრდამ 1 ლიტრი საწვავი გაუძვირა 15%-ით, მაგრამ ამავე მომენტში კომპანიებს საწვავი უკვე გაძვირებული ჰქონდათ 18.35 %-ით. ამ ფაქტს დაემატა იმ პერიოდისთვის (2017 წლის იანვრის მიწურულისთვის) 10%-ით გაიაფებული ნავთობის ფასი და მნიშვნელოვნად გამყარებული ეროვნული ვალუტა.

– ამ პროცესებიდან მოყოლებული დღემდე კომპანიებმა კიდევ ორჯერ გააძვირეს ყველა ტიპის საწვავი და 1 ლიტრი პრემიუმის ტიპის ბენზინის ფასი აცდა 2.35 ლარს. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი არის ის, რომ სწორედ ამავე პერიოდში ეროვნული ვალუტა კიდევ უფრო მეტად გამყარდა და მსოფლიო ბაზარზეც ბარელის ფასმა დაღმავალი ტრენდი განიცადა, – აღნიშნა ბ-მა ბაირახტარმა.

თებერვალსა და მარტში კომპანიებმა საწვავის ფასი კიდევ ორჯერ დააკორექტირეს და დღეისთვის 1 ლიტრი ბენზინის ფასი 2.49 ლარს აღწევს.

– ამ მომენტისთვის კომპანიების ქმედება კიდევ უფრო მეტ ეჭვს აჩენს, რადგან იანვრის ბოლოდან დღემდე ეროვნული ვალუტა თითქმის 11%-ით გამყარდა. ამ 2-თვიან მონაკვეთში მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი პრაქტიკულად არ შეცვლილა და ბარელის ღირებულება 52 დოლარის ფარგლებში მერყეობს.

კომპანიების მთავარი არგუმენტიც არის სწორედ ის, რომ კომპანიები დამოკიდებულნი არიან „პლატცის“ ფასზე და არა ნედლი ნავთობის (ბარელის) ფასზე. ეს მართლაც ასეა და შესაძლებელია ბარელის ღირებულება განსხვავებული იყოს „პლატცის“ ფასისგან, მაგრამ ეს მხოლოდ დროის მოკლე მონაკვეთშია შესაძლებელი. ვინაიდან „პლატცის“ ფასი, სწორედ ბარელის ფასისგან წარმოდგება და შეუძლებელია დროის 2-თვიან მონაკვეთში ბარელის ღირებულება არ აისახოს „პლატცის“ ფასზე.

შესაბამისად ნავთობკომპანიების მესვეურთა და ლობისტთა ეს არგუმენტიც, მსუბუქად რომ ვთქვათ, სუსტია, – განაცხადა პაატა ბაირახტარმა.

# საყოველთაო ჯანდაცვა მაღალშემოსავლიანი მოქალაქეებისთვის დიფერენცირებული იქნება



საყოველთაო ჯანდაცვა მაღალშემოსავლიანი მოქალაქეებისთვის დიფერენცირებული იქნება.

ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს თქმით, პროგრამის პირველი დიფერენცირება მაღალშემოსავლიან მოქალაქეებზე გავრცელდება. რაც შეეხება სხვა ჯგუფების მიმართ დიფერენცირებულ მიდგომას და ახალი კომპონენტების გაჩენას, ჯანდაცვის სამინისტრო დეტალების გასაჯაროებას ამ კვირაში გეგმავს.

სერგეენკოს განცხადებით, აღნიშნული ცვლილებები ძალაში სავარაუდოდ აპრილის მეორე კვირიდან შევა.

– საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სიების ანალიზმა აჩვენა, რომ შემოსავლების მიხედვით პირველი კატეგორია, რომელთაც 40 ათას ლარზე მეტი ჰქონდათ წელიწადში შემოსავალი, ისინი იხდიან ქონების გადასახადს, ასეთია 32 ათასი ადამიანი. მათგან 20 ათასი სარგებლობდა კერძო დაზღვევით, 10 ათას ჰქონდა მცდელობა, ესარგებლა საყოველთაო პროგრამით.

პირველი დიფერენცირება იქნება მაღალშემოსავლიან მოქალაქეებზე. რაც შეეხება დანარჩენ დიფერენცირებებს და ახალი კომპონენტების გაჩენას, ამ კვირაში გვექნება საინფორმაციო კამპანია, – განმარტავს დავით სერგეენკო.

**ელენე გოგბერაშვილი, ბიზნესკონტრაქტი**

# ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად, 6.75%–ზე დატოვა

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა გუშინ რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 6.75 პროცენტს შეადგენს.

როგორც ეროვნული ბანკი იუწყება, არსებული პროგნოზის მიხედვით, როგორც გაცხადებული იყო, მოსალოდნელია, რომ 2017 წლის განმავლობაში სამომხმარებლო ფასების ინდექსის (სფი) ინფლაცია ერთჯერადი ფაქტორების ზეგავლენით დროებით გაიზრდება და მიზნობრივ მაჩვენებელზე მაღლა შენარჩუნდება.

– მიმდინარე წელს სამომხმარებლო ფასებზე გავლენას ძირითადად მიწოდების მხარეს მოქმედი ფაქტორები ახდენს, როგორებიცაა საერთაშორისო ბაზრებზე გარკვეულ სასაქონლო ჯგუფებზე ფასების მატება, აქციზის გადასახადი და წინა პერიოდში აშშ დოლარის გამყარება.

ამავე დროს, საყურადღებოა, რომ დაბალ ნიშნულზე ნარჩუნდება როგორც საბაზო, ასევე ადგილობრივი პროდუქციისა და მომსახურების ინფლაცია. სფი ინფლაციის მაჩვენებელი მასზე მოქმედი ერთჯერადი ფაქტორების ამოწურვის შედეგად შემცირდება და მოსალოდნელია 2018 წელს იგი მიზნობრივ დონეს ჩამოსცდეს.

ბოლო ინფორმაციის მიხედვით, გა-





მოიკვეთა ინფლაციის პროგნოზზე ორივე მიმართულებით მოქმედი ფაქტორები. ერთი მხრივ, ინფლაციის ფაქტობრივი მონაცემი უფრო მაღალია, ვიდრე პროგნოზით იყო გათვალისწინებული, რაც, შესაძლოა, დამატებით ზეწოლას ქმნიდეს ინფლაციის მოლოდინებზე. თუმცა, მეორე მხრივ, საგარეო სექტორის მაჩვენებლების გაუმჯობესების შედეგად შემცირებულია ზეწოლა ლარის კურსზე, რამაც, შესაძლოა, ინფლაციის მოლოდინები შეამციროს.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკი კვლავ მიზანშეწონილად მიიჩნევს წლის პირველ ნახევარში პოლიტიკის განაკვეთის 7%-მდე ზრდას, ამ ეტაპზე, ტენდენციების უკეთ გამოკვეთამდე, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა თავი შეიკავა პოლიტიკის განაკვეთის ცვლილებისგან, – აცხადებენ ეროვნულ ბანკში.

წინასწარი შეფასებით, იანვარში ეკონომიკური ზრდა მაღალი იყო, თუმცა, ეკონომიკის პოტენციური დონიდან გადახრა ჯერ კიდევ უარყოფითია. ამდენად, შიდა მოთხოვნა კვლავ სუსტი რჩება.

ამასთან, ამ უკანასკნელის ზრდას ხელს უწყობს ეკონომიკის დაკრედიტების არსებული ტემპი.

– პოზიტიური ტენდენციები შეიმჩნევა საგარეო სექტორშიც. საგარეო მოთხოვნის გაუმჯობესების შედეგად 2017 წლის დასაწყისში საქონლის ექსპორტს ზრდის ტენდენცია აქვს. ზრდას განაგრძობს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებიც. ასევე, წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად მოიმატა საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობამ, თუმცა, ეს მაჩვენებელი კვლავ ჩამორჩება 2014 წლის დონეს. ამასთანავე, აღსანიშნავია იმპორტის ზრდაც.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს და გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ინსტრუმენტს ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, – ნათქვამია ეროვნული ბანკის ინფორმაციაში.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2017 წლის 2 მაისს გაიმართება.

# ავტომობილების იმპორტი არ შემცირებულა

## ეს ჰიბრიდული მანქანების ხარჯზე მოხდა



ავტომობილების იმპორტიორი კომპანიის მაიქარ.გე-ს დირექტორის, დავით რეხვიაშვილის, განცხადებით, აქციზის გაზრდის მიუხედავად, ავტომობილების იმპორტი არ შემცირებულა და ეს ჰიბრიდული მანქანების ხარჯზე მოხდა.

როგორც რეხვიაშვილი ბიზნესკონტრაქტთან განმარტავს, არაჰიბრიდული მანქანების იმპორტი ჰიბრიდულმა ავტომობილებმა ჩაანაცვლა.

ავტოიმპორტიორის თქმით, თუ აქციზის გაზრდამდე ჰიბრიდული ტიპის მანქანების წილი იმპორტში 5% იყო, არაჰიბრიდულების კი – 95%, ბოლო 2 თვის განმავლობაში პროპორცია შეიცვალა და ჰიბრიდული ავტომობილების წილი 60%-ია, არაჰიბრიდულების კი – 40%.

ავტოიმპორტიორის თქმით, ჰიბრიდული ავტომობილების იმპორტისას აქცენტი ძირითადად ერთ კონკრეტულ მოდელზეა გადატანილი, რომლის ჩამოყვანა 7-დან 11 ათას დოლარამდე ჯდება.

რაც შეეხება მარჯვენასაჭიან ავტომობილებს, რომლებზეც აქციზის გადასახადი გასამმაგდა, ავტოიმპორტიორი აცხადებს, რომ მათი შემოყვანა პრაქტიკულად აღარ ხდება.

**სალომე მეცხვარიშვილი, ბიზნესკონტრაქტი**

# ადვოკატ პაპიძეს დაცვის განხორციელებაში ხელი შეუშალეს

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი ადვოკატ ზაზა პაპიძის მიმართ განხორციელებული ძალადობის გამო განცხადებას ავრცელებს.

როგორც ინტერპრესნიუსს ადვოკატთა ასოციაციიდან აცნობეს, ადვოკატ ზაზა პაპიძეს მტკიცებულებების მოპოვების მიზნით შეხვედრა ჰქონდა დათქმული უზბეკეთის მოქალაქესთან, მაგრამ მასთან შეხვედრის საშუალება სამართალდამცველებმა არ მისცეს.

ადვოკატ ზაზა პაპიძეს, მტკიცებულების მოპოვების მიზნით, რამდენჯერმე ჰქონდა გასაუბრება უზბეკეთის მოქალაქე ნულოფენთან, რომელსაც საქართველოში ბინადრობის უფლება აქვს და საქმესთან დაკავშირებით, სავარაუდოდ, ფლობს მთელ რიგ მნიშვნელოვან ინფორმაციას.

ვინაიდან გამოსაკითხი პირი კარგად ვერ ფლობს ქართულ ენას, ადვოკატი შეუთანხმდა ზემოთ მას, რომ 5 მარტს შეხვდებოდა თარჯიმანთან ერთად და გამოჰკითხავდა, რაზეც უზბეკეთის მოქალაქემ განაცხადა თანხმობა.

შეხვედრის დრო განისაზღვრა დაახლოებით დღის 16:00-17:00 საათისთვის. ხსენებული გამოსაკითხი პირი ცხოვრობს ბათუმში, გონიოს ციხის მიმდებარე ტერიტორიასთან ახლოს ნაქირავებ კერძო სახლში.

დათქმულ დროს ადგილზე მისულ ადვოკატს დახვდნენ პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც ზაზა პაპიძე არ შეუშვეს გამოსაკითხ პირთან და განუცხადეს, რომ არანაირი შეხვედრა არ შედგებოდა და რომ გამოსაკითხი პირი ადვოკატს ინფორმაციას არ მიაწვდიდა. უთხრეს, რომ თუ ის გაჯიუტდებოდა, გადაიყვანდნენ ნარკოლოგიურ შემოწმებაზე და მას ნარკოტიკი აღმოაჩნდებოდა.

– ადგილზე იმყოფებოდნენ ბათუმის პოლიციის მთავარი სამმართველოს გამომძიებელი ვაჟა ბურკენაძე და მასთან თანმხლები ორი პირი, რომლებმაც თავიანთი ვინაობა არ გაამხილეს და რომლებიც ადვოკატის მიმართ გამოხატავდნენ შეურაცხყოფასა და მუქარას, – აცხადებს ზაზა ხატიაშვილი.

ზაზა ხატიაშვილს მიაჩნია, რომ ზემოთ ხსენებული ფაქტები, სავარაუდოდ, შეიცავს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს:

– კერძოდ, დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლის მიზნით, ადვოკატის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევა. ამავდროულად, პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან, სავარაუდოდ, განხორციელდა ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის 333-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებული ქმედებები ასევე წინააღმდეგობაში მოდის გაეროს ძირითად პრინციპებთან ადვოკატის როლის შესახებ (1990).

ზაზა ხატიაშვილი მოითხოვს ყველა პოლიციელის უმკაცრესად დასჯას, რომლებიც მონაწილეობდნენ ადვოკატ ზაზა პაპიძის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართავს, ჩაატაროს ეფექტური გამოძიება ადვოკატ ზაზა პაპიძის საადვოკატო საქმიანობაში უხეში ჩარევისა და მის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტების ირგვლივ და პასუხისგებაში მიცემულ იქნენ კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ჩამდენი პოლიციელები.



**ინტერპრესნიუსი**

# სუსი: ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე 50.000 ლარის ქრთამის აღების ბრალდებით არის დაკავებული

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძის დაკავების ფაქტს ადასტურებს.

როგორც სუსში გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს, გელა კობალაძე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს და სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2015-2016 წლებში ქალაქ ოზურგეთის მერიამ შპს „პირამიდას“ საქართველოს ფილიალთან გააფორმა ხელშეკრულებები ქალაქ ოზურგეთის დაზიანებული ქუჩების რეაბილიტაციისა და მდინარე ბჟუჟის ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულმა კომპანიამ ვერ შეძლო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვადაში სამუშაოების დასრულება, რის გამოც დღის წესრიგში დადგა მასთან ხელშეკრულებების შეწყვეტის საკითხი.

ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე შეხვდა შპს „პირამიდის“ საქართველოს ფილიალის ტექნიკურ მენეჯერს და თავისი თანამდებობის გამოყენებით დაჰპირდა ზემოხსენებული ხელშეკრულებების ვადების გაგრძელებასა და უკვე შესრულებულ სამუშაოებზე მისაღები დაახლოებით 150.000 ლარის ჩარიცხვას, რის სანაცვლოდაც ქრთამის სახით მოსთხოვა და აიღო ფულადი თანხა 50.000 ლარის ოდენობით.

ამ დროს იგი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა დააკავეს.

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 11-დან 15 წლამდე).

# თურქეთში ჩადენილი მკვლელობის საქმეს ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ

თბილისის საქალაქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა განსჯადი სისხლის სამართლის საქმე განიხილება.

როგორც ინტერპრესნიუსს თბილისის საქალაქო სასამართლოდან აცნობეს, საქმე ეხება 2016 წლის იანვარში თურქეთის ტერიტორიაზე მომხდარ მკვლელობას, რომელშიც ბრალდებულია საქართველოს მოქალაქე ა.ო.




წარდგენილი ბრალის თანახმად, ა.ო.-ს ბრალად ედება ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის, ჯგუფურად, სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომებზე გამოცხადებულ კანდიდატთაგან შეირჩა 14 ნაფიცი მსაჯული. განისაზღვრა 12 ძირითადი და 2 სათადარიგო ნაფიცი მსაჯული, რომლებიც უშუალოდ განახორციელებენ მართლმსაჯულებას.

ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა კონფიდენციალურია. მათი უსაფრთხოების მიზნით, სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირებს და პროცესის მონაწილეებს ეკრძალებათ მსაჯულთა ვინაობის გამხელა.

სხდომის ფოტოგადაღება, კინო, ვიდეო, აუდიო ჩაწერა და ეთერში გადაცემა უნდა განხორციელდეს ნაფიც მსაჯულთა გადაღების, მათი ვინაობის, გარეგნული ნიშნებისა და სხვა პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე.

# გირგვლიანის მამა: „ჩვენი ხმა სტრასბურის დიდ პალატას უნდა მივაწვდინოთ“

სანდრო გირგვლიანისა და გიორგი გამცემლიძის ოჯახის წევრები საქართველოში ევროსაბჭოს ოფისის ხელმძღვანელს განცხადებით მიმართავენ და სთხოვენ, რომ მიმდინარე წლის 8 მარტს, ვანო მერაბიშვილის საქმე, რომელსაც სტრასბურის სასამართლოს დიდი პალატა განიხილავს, ობიექტურად წარიმართოს.

ამასთან, ისინი ინფორმაციას აწვდიან საქართველოდან წარგზავნილი მოსამართლე ნონა წოწორიასა და ადვოკატ ოთარ კახიძის შესახებ.

როგორც სანდრო გირგვლიანის მამამ გურამ გირგვლიანმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ნონა წოწორია 2004-08 წლებში იუსტიციის ყოფილი მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის მოადგილე იყო.



რაც შეეხება ადვოკატ ოთარ კახიძეს, გურამ გირგვლიანის თქმით, ის სხვადასხვა მაღალ თანამდებობას იკავებდა, აქედან გამომდინარე, ჩნდება ეჭვი, რომ შესაძლოა სტრასბურის სასამართლოს დიდი პალატის შემადგენლობა მოექცეს საქართველოდან წარგზავნილი მოსამართლისა და ადვოკატის გავლენის ქვეშ.

– მოსამართლეები არ უნდა მოექცნენ საქართველოდან წარგზავნილი ნონა წოწორიას გავლენის ქვეშ, რომელიც ყველაფერს აკეთებს დანაშაულებრივი რეჟიმის დაცვისთვის. ნონა წოწორია არ იცავს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს. ის იცავს ნაციონალური მოძრაობისა და ვანო მერაბიშვილის ინტერესებს.

ამასთან, მიჩნდება ეჭვი, ხომ არ მოხდა საქართველოდან წარგზავნილი სამი მოსამართლის კანდიდატურის ხელოვნურად ჩაგდება, რადგან წოწორიას 1 თებერვალს გაუვიდა ვადა, – განაცხადა გურამ გირგვლიანმა.

2017 წლის 8 მარტს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატა საქართველოს ყოფილი შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის საქმეს განიხილავს, რომელიც ეხება მისი ციხის საკნიდან გაყვანის შესაძლო ფაქტს.

# საავადმყოფოს მეოთხე სართულიდან პაციენტი გადმოვარდა




ლაგოდეხის რაიონული საავადმყოფო „კელაპტრის“ მეოთხე სართულიდან პაციენტი გადმოვარდა. იგი მძიმედ დაშავდა, რის შემდეგაც ახალგაზრდა მამაკაცი ლაგოდეხში, „არქიმედეს“ კლინიკაში გადაიყვანეს.

ექიმებმა მამაკაცის გადარჩენა ვერ შეძლეს.

მომხდარზე გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით მიმდინარეობს.

# საგადასახადო სამართალდარღვევის 682 ფაქტი გამოვლინდა

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, 2017 წლის 27 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად, საგადასახადო სამართალდარღვევის 682 ფაქტი გამოვლინდა.

საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ შემოწმდა 6.705 გადამხდელი.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები:

საქონლის სასაქონლო ელექტრონული ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 98 ფაქტი; ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 99 შემთხვევა; მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 485 ფაქტი.

**კვირა**

# ყალბი 100-დოლარიანი კუპიურების გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა.

ბრალდებულმა მარნეულის სავალუტო ჯიხურებში მოტყუებით გაასაღა 1.500 აშშ დოლარის ოდენობის ყალბი 100-დოლარიანი კუპიურები. საგამოძიებო სამსახურის მიერ განხორციელებული ჩხრეკის შედეგად ყალბი კუპიურები ამოღებულია ნივთმტკიცების სახით.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 4-დან 7 წლამდე.

# რუსთავში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად კიდევ ერთი ადამიანი დაიღუპა

რუსთავში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად კიდევ ერთი ადამიანი დაიღუპა. როგორც ინტერპრესნიუსის კორესპონდენტი ადგილიდან იუწყება, 84 წლის ქალი გარდაცვლილი აბაზანაში ნახეს.

ინტოქსიკაცია მიიღო მისმა შვილმა, რომელიც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ კლინიკა „რუსთავში“ გადაიყვანა. 60 წლამდე მამაკაცის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

ბოლო სამი დღის განმავლობაში რუსთავში ბუნებრივი აირის ინტოქსიკაციის შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის ბებია და 12 წლის შვილიშვილი, ასევე – ახალგაზრდა ცოლ-ქმარი.

1 თებერვლიდან დღემდე რუსთავში გაზის ინტოქსიკაციის 120-ზე მეტი შემთხვევაა დაფიქსირებული.

**ინტერპრესნიუსი**

# ზუგდიდში ნიღბიანებმა ოჯახი დააყაჩაღეს

ზუგდიდში, ტოლსტოის ქუჩაზე მცხოვრები ერთ-ერთი ოჯახი ორმა ნიღბიანმა პირმა დააყაჩაღა. მეზობლების ინფორმაციით, ოჯახიდან 2.000 ლარი წაიღეს.

შსს-ში განმარტავენ, რომ საქმე სსკ-ის 179-ე მუხლითაა აღძრული, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

უწყების ცნობით, მომხდარზე ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

**კვირა**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ტრამპმა მიგრანტების შესახებ ახალ კანონს ხელი მოაწერა






აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მიგრანტების შესახებ ახალ კანონს ხელი მოაწერა.

წინა ბრძანებულების მოქმედება ფედერალურმა სასამართლომ შეაჩერა. ის რიგი მუსლიმანური ქვეყნებიდან (ირანი, ერაყი, სომალი, სირია, იემენი, სუდანი) მიგრანტების აშშ-ში შესვლის შეჩერებას ითვალისწინებდა.

ტრამპი იძულებული გახდა, უკან დაეხია.

ახალ კანონში მნიშვნელოვანი შესწორებები შეიტანეს. იმ ქვეყნებიდან, რომელთა მოქალაქენიც შესაძლოა აშშ-ში არ შეუშვან, ამოვარდა ერაყი. ამას გარდა, კანონში ნათქვამია, რომ შეზღუდვები არ ვრცელდება იმ პირებზე, ვისაც ამერიკის ვიზები გააჩნია.

მნიშვნელოვანი შესწორებები იქნა შეტანილი სირიელი ლტოლვილების საკითხში. ახალ კანონში ნათქვამია, რომ სირიიდან ლტოლვილთა მიღება მხოლოდ 12 დღით შეჩერდება.

კანონი არ გავრცელდება იმ პირებზეც, ვისაც ორმაგი მოქალაქეობა (აშშ-სა და სირიის) ან ამერიკული ვიზა გააჩნიათ.

– ტრამპი მართაც სერიოზულ დათმობებზე წავიდა, – იტყობინება 112 არხი.

ხსენებული კანონი მოქმედებაში 16 მარტიდან შევა.

# ჰააგის ტრიბუნალმა უკრაინის სარჩელის განხილვა დაიწყო




ჰააგის ტრიბუნალმა უკრაინის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის განხილვა დაიწყო. უკრაინელები რუსეთს შეიარაღებულ აგრესიასა და უკრაინული ტერიტორიების ოკუპაციაში ადანაშაულებენ.

– მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ჩვენ ამ პროცესს მოვიგებთ, – ამბობს პრეზიდენტი პოროშენკო.

ექსპერტების აზრით, პროცესი გაჭიანურდება. შესაძლოა, ის წლების მანძილზე გაგრძელდეს, თუმცა მორალური ზიანი, რაც ამით რუსეთს მიადგება, უდიდესი იქნება.

# ჩრდილოეთ კორეა აშშ-ის ბაზებზე შეტევისთვის ემზადება?



ჩრდილოეთ კორეამ ბალისტიკური რაკეტები გამოცადა. სწავლებას თავად დიქტატორი კიმ ჩენ ინი დაესწრო.

– გამოცდამ ჩინებულად ჩაიარა. ყველაფრიდან ჩანს, რომ იაპონიაში განთავსებულ ამერიკულ ბაზებზე დარტყმა შეგვიძლია, – განაცხადა კიმ ჩენ ინმა.

დიქტატორმა დაამატა, რომ ამის გაკეთება არ სურს, მაგრამ თუ აშშ-მ შანტაჟისა და მუქარის პოლიტიკა გააგრძელა, დარტყმა გარდუვალი იქნება.

ამას აშშ-ის თავდაცვის მინისტრ მატისის მწვავე რეაქცია მოყვა.

– ვინც კუნთებს ათამაშებს, დაისჯება! – თქვა მან.

სიტყვას საქმეც მოჰყვა. აშშ-მ სამხრეთ კორეაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის განლაგება დაიწყო. ჩრდილოეთ კორეის შესაძლო ავანტიურის აღსაკვეთად ყველაფერი მზადაა.

# საფრანგეთი: ლე პენის პარტია დემოკრატიისთვის საფრთხეს წარმოადგენს

საფრანგეთში გამოკითხვა ჩატარდა, რომლის შემდეგაც დადგინდა, რომ გამოკითხულთა 58% მიიჩნევს, რომ პარტია ეროვნული ფრონტი საფრანგეთის დემოკრატიისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

ეს მაჩვენებელი 11%-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს.

აღსანიშნავია, რომ ამ პარტიის დაარსების დღიდან ფრანგების დიდ ნაწილს მიაჩნდა, რომ მათი გამარჯვების შემთხვევაში დემოკრატია სერიოზულ საფრთხეში იქნებოდა.



პარტია ეროვნული ფრონტი უკიდურესად მემარჯვენე პარტიაა, რომელიც 1972 დაარსდა. მისი ლიდერი ჟან მარი ლე პენი იყო, რომლის შვილიც მარინ ლე პენი ამჟამად პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატია.

საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური – 23 აპრილს, საჭიროების შემთხვევაში მეორე ტური კი 7 მაისს გაიმართება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# ჯორჯ მაიკლი გულის დაავადების გამო გარდაცვლილა



ლეგენდარული ინგლისელი მომღერალი ჯორჯ მაიკლი გულის დაავადების გამო გარდაცვლილა.

აქამდე მომღერლის გარდაცვალების მიზეზი უცნობი იყო და პრესაში რამდენიმე ვერსიამაც გაიჟღერა, მათ შორის ნარკოტიკებმაც. ჯორჯ მაიკლს ნარკოტიკებთან პრობლემა ჰქონდა და მისი გარდაცვალების მიზეზს სწორედ ამას მიაწერდნენ.

როგორც აღმოჩნდა, მომღერალს გულის დაავადება ჰქონდა და ღვიძლიც აწუხებდა. თუ რამ გამოიწვია ეს დაავადება, უცნობია.

გარდაცვალების დროს ჯორჯ მაიკლი 53 წლის იყო. თავისი მუსიკალური კარიერის განმავლობაში ჯორჯ მაიკლმა 115 მილიონზე მეტი ალბომი გაყიდა და ამ მაჩვენებლით ის ერთ-ერთი საუკეთესო მომღერალია მსოფლიოში.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი ვაშინგტონში ჩავიდა



უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი კლიმკინი სამუშაო ვიზიტით ვაშინგტონში ჩავიდა.

კლიმკინმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებების ძირითადი თემა უკრაინა-აშშ-ს შორის კავშირების განმტკიცება იქნება. კლიმკინმა აღნიშნა, რომ მზადდება პეტრო პოროშენკოს ვიზიტი ამერიკაში, თუმცა ზუსტი თარიღი ჯერჯერობით უცნობია.

# სირია: რუსულ არმიაში დანაკარგები იზრდება



სირიაში განთავსებულ რუსეთის სამხედრო კონტინგენტში დანაკარგი იზრდება.

ბოლო ორი დღის განმავლობაში 6 რუსი ჯარისკაცი დაიღუპა.

რუსული პროპაგანდა ცდილობს, ეს ფაქტი მიჩქმალოს. დაღუპული ჯარისკაცების დაკრძალვა ჩუმად, ცერემონიების გარეშე განხორციელდა.

# გერმანია ბალტიისპირეთში ჯარებს დატოვებს




რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პროტესტი გამთქვა ბალტიისპირეთში ბუნდესვერის კონტინგენტის განლაგების გამო.

განცხადებაში ნათქვამია, რომ გერმანელი სამხედროები რუსეთის საზღვართან განალაგეს, რაც დაუშვებელია.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაბრიელმა პასუხად განაცხადა, რომ ბალტიისპირეთს რუსეთიდან საფრთხე ემუქრება. ლატვია, ლიტვა და ესტონეთი ნატოს წევრები არიან. შესაბამისად, ნატო მათ არ მიატოვებს.

– გერმანული კონტინგენტი ბალტიისპირეთში დარჩება, – აცხადებს გაბრიელი.

# 9 მარტს ისრაელის პრემიერი პუტინს შეხვდება



ისრაელის პრემიერი ნეტანიაჰუ მოსკოვში ჩასვლას კვლავ აპირებს. 9 მარტს დაგეგმილია მისი შეხვედრა პუტინთან.

მოლაპარაკებების ძირითადი თემა სირიაში ირანის შეიარაღებული ძალების ყოფნა და ე.წ. „შიიტური რკალის“ შექმნა იქნება.

ისრაელი „შიიტური რკალის“ შექმნით შეშფოთებულია.

მიმდინარე წელს ნეტანიაჰუ და პუტინი ერთმანეთს უკვე სამჯერ შეხვდნენ. ხუთშაბათის შეხვედრა მეოთხე იქნება.

ამერიკელი პოლიტოლოგის, პროფესორ ჯოზეფ ოლმერტის აზრით, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ნეტანიაჰუ სირიაში შექმნილი მდგომარეობით შეშფოთებულია.

– ისრაელის პრემიერი შეეცდება დაიყოლიოს პუტინი, რომ მოსკოვმა თეირანზე ზეწოლა მოახდინოს და სირიის დატოვება აიძულოს, – ამბობს ოლმერტი.

ებრაელი დიპლომატი და ორგანიზაცია „ნატივის“ ყოფილი შეფი იაკობ კედმი მიიჩნევს, რომ ისრაელმა მოსკოვთან უფრო მჭიდრო კავშირები უნდა დაამყაროს და რუსეთთან ერთად უკრაინაზე ზეწოლა განახორციელოს.

– ჩვენ უნდა დავეხმაროთ პუტინს, რომ კიევმა ყირიმი რუსეთის განუყოფელ ნაწილად აღიაროს და ქვეყნის ფედერალიზაცას დათანხმდეს. სანაცვლოდ პუტინი ირანის განეიტრალებაში დაგვეხმარება, – აცხადებს კედმი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09, 295-40-58 ჯემალი.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ბარსელონის ცნობილი ქამბექები



დღეს ჩემპიონთა ლიგაზე საინტერესო ჯახია. ბარსელონა მიმდინარე გათამაშების მერვედფინალში, სტუმრად პარის სენ-ჟერმენთან გამანადგურებელი ანგარიშით, 0:4 დამარცხდა. ახლა კატალონიელები სასწაულის იმედად არიან, მათ წონასწორობის აღსადგენად 4 უპასუხო გოლი სჭირდებათ.

თუმცა, კატალონიური გუნდის გულშემატკივრებს იმედიც გაუჩნდათ – ბარსელონამ ბოლო მატჩები ისე ჩაატარა, რომ მეტოქეებს არ ინდობს. ბარსა იმ ფეხბურთს დაუბრუნდა, რომელსაც საუკეთესო წლებში აჩვენებდა და ოპტიმიზმის იმედსაც ეს იძლევა.

გარდა ამისა, კატალონიურმა მედიამ გაიხსენა ის მატჩები, სადაც ბარსელონას სტუმრად ჰქონდა წაგებული, შემდეგ ეტაპზე გასვლას არ უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ თამაში შემოატრიალეს.

**უეფას თასი 1977-78: იფსვიჩ თაუნი**

ბარსელონა მერვედფინალის პირველ მატჩში, ბობი რობსონის იფსვიჩ თაუნის წინააღმდეგ ანგარიშით 0:3 დამარცხდა. თუმცა, საპასუხო შეხვედრაში კატალონიელებმა წონასწორობის აღდგენა შეძლეს. ძირითად დროში კრუიფმა 2, ხოლო რეშაკმა 1 გოლი გაიტანა, ხოლო ინგლისური გუნდი პენალტების სერიაში დაამარცხა, გადამწყვეტი თერთმეტმეტრიანი ალფრედო ამარილომ გაიტანა.

**თასების მფლობელთა თასი 1978-79: ანდერლეხტი**

ბარსელონა ბელგიაში 0:3 დამარცხდა, რომელსაც იმ დროისთვის კარგად პატივცემული მწვრთნელი, რაიმონ გუტალსი თავკაცობდა. თუმცა, კატალონიელებმა საპასუხო მატჩში კრანკლის, ჰერედიასა და ზუვირიას გოლებით დამატებით დრომდე გააღწია. საქმე პენალტების სერიამდე მივიდა, თერთმეტმეტრიანებში კი „ბლაუგრანამ“ 4:1 გაიმარჯვა.

**ჩემპიონთა თასი 1985-86: გიოტებორგი**

ბარსელონა შვედეთში კვლავ 0:3 მარცხდება და საპასუხო შეხვედრაში კვლავ დამატებით დრომდე მიდის მატჩი. ძირითად დროში პიჩი ალონსომ ჰეთ-თრიქი შეასრულა (9, 63, 69). ბარსელონა პენალტების სერიის წყალობით (5:4) ტურნირის ფინალში გავიდა. სევილიაში, ბუქარესტის სტიაუას წინააღმდეგ კატალონიელებმა ფინალური მატჩი წააგეს.

**ჩემპიონთა ლიგა 1993-94: დინამო კიევი**

ბარსელონას ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობა დასრულებულად ჩანდა, როდესაც კატალონიელები უკრაინაში 1:3 დამარცხდნენ. კრუიფის გუნდს „კამპ ნოუზე“ რთული მატჩი ელოდა, თუმცა ბარსელონამ შთამბეჭდავი თამაში აჩვენა და კიეველები 4:1 დაამარცხა. გოლები ლაუდრუპმა, ბაკერომ (2) და კუმანმა გაიტანეს.

**ჩემპიონთა ლიგა 1999-2000: ჩელსი**

კიდევ ერთი დასამახსოვრებელი მატჩი „კამპ ნოუზე“. ლუი ვან გაალის გუნდი „სტემფორდ ბრიჯზე“ 1:3 დამარცხდა. საპასუხო მატჩი იგივე ანგარიშით მოიგო. ძირითად დროში კატალონიელთა მხრიდან გოლები რივალდომ, ფიგუმ და დანიმ გაიტანეს. დამატებით დროში კი კლიუვერტისა და რივალდოს მეორე გოლით ყველაფერს წერტილი დაესვა – 5:1.

**ჩემპიონთა ლიგა 2012-13: მილანი**

ბარსელონას ბოლო „ქამბექი“ 4 წლის წინ ვიხილეთ. ტიტო ვილანოვას გუნდმა „სან სიროზე“ 0:2 წააგო და „ბლაუგრანას“ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი მინიმალური გახდა. მაგრამ, „კამპ ნოუზე“ გუნდი შესანიშნავი განწყობით გავიდა და იტალიური გუნდი 4:0 გაანადგურა. მესიმ პირველ ტაიმში დუბლის გაფორმება შეძლო, ხოლო მეორე ტაიმში გოლები დავიდ ვილიამ და ხორდი ალბამ გაიტანეს.

# ბორჯღალოსნები რუსეთსა და რუმინეთს გაძლიერებული შემადგენლობით ხვდებიან



ესპანეთთან რთული გამარჯვების შემდეგ საქართველოში დაბრუნებულმა ბორჯღალოსნებმა რაგბი ევროპის პირველობის ბოლო 2 მატჩის წინ ოდნავ გადაიხალისეს რაზმი.

შეგახსენებთ, ტურნირის ფინიშზე ერთპიროვნული ლიდერი, საქართველო 12 მარტს რუსეთს უმასპინძლებს, ხოლო 19 მარტს რუმინეთს ეწვევა.

მილტონ ჰეიგის განკარგულებაში 31 მორაგბეა – 14 უკანახაზელი და 17 მორკინალი. წინა შემადგენლობაში ცვლილებებია: დაგვემატა 3 გამოცდილი ლეგიონერი – მამუკა გორგოძე, მიხეილ ნარიაშვილი და ზურა ჟვანია. შალვა მამუკაშვილი კლუბში მიბრუნდა, ესპანეთთან თავგამოჩენილი ახალბედა, სოსო მათიაშვილი კი შვიდკაცა ნაკრებმა იხმო.

ჰეიგმა შეკითხვის პასუხად დაგვიდასტურა, რომ ამ რაზმით ვეთამაშებით როგორც რუსეთს, ასევე რუმინეთს. მწვრთნელი კმაყოფილია ყველა ახალგაზრდის ზრდა-დაოსტატებით და ტურნირის ბოლო ორ მატჩშიც გეგმავს მათზე დაკვირვებას.

**მილტონ ჰეიგი:**

– ნდობა გაამართლა უკლებლივ ყველა ახალბედამ და ჩინებულადაც გამოიყენა შანსი, რათა მწვრთნელებისთვის მოეწონებინა თავი უნარ-ჩვევებით. ერთი კია, დასკვნითი ორი თამაშისთვის რომ უპრიანია გამოცდილ ლიდერთა დამატება, მაგიტომ ვიხმეთ ნარიაშვილი და გორგოძე. ჟვანია ჰუქერად შეცვლის შალვას, რადგან ის ახალ კლუბში (ტულონი) მედჯოკერია და მისი გათავისუფლება გვმართებდა. დაშავებულ შარიქაძეს ყოველდღიურად ვაკვირდებით. მერაბი ცოტათი მოკეთდა, მაგრამ შეძლებს თუ ვერა თამაშს, ეგ კვირის ბოლოსკენ გამოჩნდება.

რუსეთთან რკენა, ტრადიციული შაბათის ნაცვლად, კვირა დღესაა, ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენაზე და 18 საათზე იწყება.

# სოხუმი ოთხეულში შევიდა, მგზავრები ლიდერებს აღარ ცნობს

**დინამო-რუსთავი 87:62**

**(28:22, 17:16, 19:8, 23:16)**



მიუხედავად იმისა, რომ დინამოელები უკვე პლეი ოფში არიან და რეგულარული სეზონის პირველი ადგილიც თითქმის გარანტირებული აქვთ, რუსთავთან სათამაშოდ მოედანზე მაქსიმალურად კონცენტრირებულები გამოვიდნენ. შეხვედრის პირველი პერიოდი თბილისელებმა 28:22 მოიგეს და მეორეში მცირე ჩავარდნაც ჰქონდათ. 22:31 ჩამორჩენილმა რუსთაველებმა მცირე სპურტი მოაწყვეს და ტაიმის მიწურულს 36:35 დაწინაურდნენ.

დინამოელებმა საქმე დიდ შესვენებამდევე გამოასწორეს, მეორე მეოთხედის დარჩენილი წუთები 13:2 მოიგეს და 45:38 გალიდერდნენ. მეორე ტაიმში მასპინძლებს პრობლემა აღარ შექმნიათ და გამარჯვებამდე ისე მივიდნენ, მეტოქე ახლოს აღარ მიიკარეს.

დინამოელებმა საბოლოოდ 25 ქულის სხვაობით იმარჯვეს და 20 ტურის შემდეგ 19 მოგებით ერთპიროვნულად ლიდერობენ. გამარჯვებულებს 19 ქულითა და 8 მოხსნით ნიკოლა მარავიჩმა ულიდერა. 18 ქულა, 6 მოხსნა და 6 პასი დეონტა ვონის ანგარიშზეა. 13 ქულით დაასრულა შეხვედრა ლევან ფაცაციამ.

რუსთავში 10-10 ქულით ყველაზე შედეგიანები სერგო ათუაშვილი და რეზო ჩაჩანიძე იყვნენ.

**სოხუმი-ბათუმი 75:64**

**(13:20, 26:12, 18:14, 18:18)**

აჭარულ გუნდს დიდი დანაკლისი აქვს ამერიკელი ცენტრის, კრის ფელჩერის სახით და სოხუმთან მატჩშიც ძირითადად ფარქვეშ დათმობილი პოზიციების გამო წააგო.

ორივე გუნდი ცხრილის შუაში იმყოფება და, შესაბამისად, ორივეს ოთხეულში გასვლის, ასევე სუპერლიგის აუტსაიდერებში აღმოჩენის შანსი გააჩნია. სოხუმელებს ამ გამარჯვებამ ცხრილში მე-4 ადგილი მოუტანა, ხოლო წაგებული ბათუმი სუპერლიგის აუტსაიდერებისკენ დააქვეითა.

არადა, ბათუმმა მატჩი კარგად დაიწყო და პირველი პერიოდი 20:13 მოიგო. მეორეში სოხუმელებმა თამაში დაალაგეს და დიდ შესვენებამდე დაწინაურდნენ კიდეც – 39:32. მეორე ტაიმში თამაში სოხუმელთა დომინირებით გაგრძელდა და ბათუმი მასპინძლებთან 7 ქულაზე ახლოს ველარ მივიდა. საბოლოოდ სოხუმმა 75:64 მოიგო.

გამარჯვებულებს ალექსანდრ ტიშჩენკომ ულიდერა 19 ქულით. 12 ქულა ჰქონდა დავით ბარბაქაძეს, ხოლო 10 ქულა, 9 მოხსნა და 6 შედეგიანი გადაცემა დუეინ ლათანმა მოაგროვა.

ბათუმში 16-16 ქულით უკრაინელები – ილია შემოსიუკი და იგორ კრივცოვი გამოირჩნენ. 15 ქულა მოაგროვა კახა ჯინჭარაძემ.

**მგზავრები-ქუთაისი 88:75**

**(11:20, 26:26, 25:19, 26:10)**

სუპერლიგის აუტსაიდერმა მგზავრებმა, რომელმაც მე-18 ტურში ლიდერ დინამოს მოუგო, ახლა ცხრილში მეორე ადგილზე მყოფი ქუთაისიც დაამარცხა.

მგზავრებმა გარდამტეხი უპირატესობა ბოლო პერიოდში მოიპოვეს, მანამდე კი, მესამე მეოთხედში ქუთაისელებს თამაში გაუთანაბრეს. თბილისური გუნდი მთელი პირველი ტაიმი მდევრის როლში იყო და დიდი შესვენების შემდეგ მატჩის სადავეები ხელთ იპყრო, რაც ლეგიონერთა და ქართველი მოთამაშეების გუნდური და შედეგიანი თამაშის შედეგი გახლდათ.

ბოლო პერიოდი მგზავრებმა 26:10 მოიგეს, საბოლოოდ კი 13 ქულით – 88:75 იმარჯვეს და სუპერლიგის მიმდინარე სეზონში მე-5 გამარჯვება მოიპოვეს.

**ოლიმპი-კაკტუსი 90:46**

**(24:8, 21:18, 22:15, 23:5)**

ოლიმპმა მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და ფავორიტად მიჩნეულ კაკტუსს ისე მოუგო, მცირედი შანსიც არ მიუცია.

ოლიმპელებმა ოთხივე პერიოდი დამაჯერებლად მოიგეს და მთლიანობაში 44 ქულით იმარჯვეს. მატჩის ბედი მესამე პერიოდში გაირკვა, როცა ოლიმპის ლიდერობამ 30 ქულას გადააბიჯა.

გამარჯვებულებს 21 ქულით ტრე ბურნეთმა ულიდერა. 16 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა რეზო როგავამ, 10 ქულით და 13 მოხსნით ორმაგი დუბლი ვალტერ პიჩფორდმა შეასრულა.

კაკტუსელთაგან 13 ქულით ბომბარდირი გახდა ბექა ჩიკვილაძე, 12 ქულა და 7 მოხსნა კი ტერიკ ბრიჯმენმა მიითვალა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 20 | 19 | 11769-1426 | 39 |
| 2.ქუთაისი | 20 | 15 | 51612-1492 | 35 |
| 3.რუსთავი | 20 | 11 | 91572-1591 | 31 |
| 4.სოხუმი | 20 | 9 | 111677-1704 | 29 |
| 5.კაკტუსი | 20 | 8 | 121569-1714 | 28 |
| 6.ბათუმი | 20 | 7 | 131523-1595 | 27 |
| 7.ოლიმპი | 20 | 6 | 141420-1484 | 25 |
| 8.მგზავრები | 20 | 5 | 151478-1614 | 25 |

**შენიშვნა:** ოლიმპს დაკლებული აქვს 1 ქულა

# ფაჩულიამ ყოფილ გუნდს მოუგო

გოლდენ სტეიტ უორიორზმა 5 მატჩისგან შემდგარი საგარეო ტურნე დაასრულა და შინ 3 მოგებით ბრუნდება.

ბოლო მატჩში ოკლენდელები ზაზა ფაჩულიას ყოფილ კლუბს ატლანტა ჰოუკსს შეხვდნენ და 119:111 დაამარცხეს.

არადა, პირველი ტაიმის მსვლელობისას ჯორჯიელთა უპირატესობა 15 ქულასაც კი აღწევდა, მაგრამ მეომრებმა ეს დეფიციტი თანდათან აღმოფხვრეს და მეოთხე პერიოდის სტარტის წინ, სულაც 4 ქულით იგებდნენ.

სასტარტოში მყოფმა ზაზა ფაჩულიამ ამჯერად 15 წუთი ითამაშა, 6 ქულას (ექვსიდან სამი ორქულიანი ჩააგდო) 5 მოხსნა (ერთი შეტევისას) და 2 შედეგიანი გადაცემა მიამატა.

63 მატჩიდან 52 მოგებით გოლდენ სტეიტი დასავლეთ კონფერენციის ცხრილის სათავეშია.

ოკლენდელები მომდევნო მატჩს შინ ბოსტონ სელტიკსთან ჩაატარებენ.




# სტივენ ჯერარდი: „ლივერპულს ჩემპიონთა ლიგა უნდა“



ინგლისური პრემიერლიგის ბოლო ტურში ლივერპულმა დიდი ნაბიჯი გადადგა ოთხეულისკენ, როდესაც დაამარცხა უშუალო კონკურენტი, არსენალი – 3:1.

წითლებმა ეფექტურად ჩამოირეცხეს ის სირცხვილი, რომელიც წინა კვირაში იწვნიეს, საუბარია, ლესტერთან დაუგეგმავ მარცხზე.

ლეგენდარულელთა ექსკაპიტანი, სტივენ ჯერარდი მიიჩნევს, რომ იურგენ კლოპს ძალუძს, უახლოეს ზაფხულში, ხარისხიანი მოთამაშეების მოზიდვა, მაგრამ ამავე დროს საერთაშორისო არენაზე მოღვაწეობის გავლენას არ აკნინებს.

ამის გარდა, არსენალთა მატჩში, არსენ ვენგერმა, გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი ალექსის სანჩესი, განაცხადს მიღმა დატოვა, ჯერარდი ამ ფაქტით გაკვირვებული დარჩა:

– საუკეთესო მოთამაშეებს ჩემპიონთა ლიგაზე სურთ. ლივერპულმა უკვე მიიღო ძალიან დიდი უპირატესობა კლოპის სახით, თუმცა ახლა საჭიროა ევროასპარეზზეც გასვლა. კონკრეტულად კი ჩემპიონთა ლიგის საგზური უკვე პირველი ნაბიჯია, შემდეგ კი მისი მოგებაა საჭირო... რაც შეეხება ალექსის სანჩისის უთამაშებლობას: თუ ასეთ გადაწყვეტილებას კლოპი მიიღებდა, მაგალითად, ლუის სუარესს არ მისცემდა თავის გამოჩენის შესაძლებლობას, მე საშინლად გავცეცხლდებოდი! ამ გადაწყვეტილებით, ვენგერმა კბილებში შეუყო თავი ლივერპულს.

როგორც იცით, კაპიტანმა ფანტასტიკამ კარიერა 2016 წელს დაასრულა, ახლა მისი როლი ახალგაზრდების აღზრდით შემოიფარგლება.

# შედეგები

**6 მარტი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ჰემი-ჩელსი ............................ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 27 | 21 | 3 | 3 | 57-20 | 63 |
| 2.ტოტენჰემი | 27 | 16 | 8 | 3 | 53-20 | 56 |
| 3.სიტი | 26 | 17 | 4 | 5 | 53-29 | 55 |
| 4.ლივერპული | 27 | 15 | 7 | 5 | 58-34 | 52 |
| 5.არსენალი | 26 | 15 | 5 | 6 | 55-31 | 50 |
| 6.მანჩესტერი | 26 | 13 | 10 | 3 | 39-22 | 49 |
| 7.ევერტონი | 27 | 12 | 8 | 7 | 44-30 | 44 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 27 | 11 | 7 | 9 | 36-34 | 40 |
| 9.სტოკი | 27 | 9 | 8 | 10 | 32-40 | 35 |
| 10.საუთჰემპტონი | 26 | 9 | 6 | 11 | 32-34 | 33 |
| 11.ვესტ ჰემი | 27 | 9 | 6 | 12 | 36-46 | 33 |
| 12.ბარნლი | 27 | 9 | 4 | 14 | 30-40 | 31 |
| 13.უოტფორდი | 27 | 8 | 7 | 12 | 33-47 | 31 |
| 14.ბორნმუთი | 27 | 7 | 6 | 14 | 37-52 | 27 |
| 15.ლესტერი | 27 | 7 | 6 | 14 | 30-45 | 27 |
| 16.სუონსი | 27 | 8 | 3 | 16 | 35-59 | 27 |
| 17.კრ.პალასი | 27 | 7 | 4 | 16 | 35-46 | 25 |
| 18.მიდლსბრო | 27 | 4 | 10 | 13 | 19-30 | 22 |
| 19.ჰალი | 27 | 5 | 6 | 16 | 24-53 | 21 |
| 20.სანდერლენდი | 27 | 5 | 4 | 18 | 24-50 | 19 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალავესი-სევილია ............................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 26 | 18 | 6 | 2 | 76-21 | 60 |
| 2.რეალი | 25 | 18 | 5 | 2 | 67-26 | 59 |
| 3.სევილია | 26 | 17 | 5 | 4 | 50-30 | 56 |
| 4.ატლეტიკო | 26 | 14 | 7 | 5 | 48-22 | 49 |
| 5.სოსიედადი | 26 | 15 | 3 | 8 | 42-36 | 48 |
| 6.ვილიარეალი | 26 | 12 | 9 | 5 | 38-19 | 45 |
| 7.ბილბაო | 26 | 12 | 5 | 9 | 32-30 | 41 |
| 8.ეიბარი | 26 | 11 | 6 | 9 | 42-37 | 39 |
| 9.ესპანიოლი | 26 | 9 | 9 | 8 | 35-35 | 36 |
| 10.სელტა | 25 | 10 | 5 | 10 | 39-44 | 35 |
| 11.ალავესი | 26 | 8 | 10 | 8 | 26-32 | 34 |
| 12.ლას პალმასი | 26 | 8 | 8 | 10 | 40-41 | 32 |
| 13.ვალენსია | 26 | 8 | 5 | 13 | 35-46 | 29 |
| 14.ბეტისი | 25 | 7 | 6 | 12 | 27-41 | 27 |
| 15.მალაგა | 26 | 6 | 8 | 12 | 32-43 | 26 |
| 16.ლეგანესი | 26 | 6 | 6 | 14 | 21-40 | 24 |
| 17.დეპორტივო | 25 | 5 | 8 | 12 | 28-40 | 23 |
| 18.გრანადა | 26 | 4 | 7 | 15 | 24-54 | 19 |
| 19.ხიხონი | 26 | 4 | 5 | 17 | 27-55 | 17 |
| 20.ოსასუნა | 26 | 1 | 7 | 18 | 27-64 | 10 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-შტუტგარტი ............ 1:1

**იტალია. სერია ბ**

ფროზინონე-ჩიტადელა ................. 1:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ვალანსიენი-სტრაზური ................. 2:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ეშტორილი-რიუ ავე ...................... 0:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ანჟი-რუბინი .................................. 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანიონიოსი-აეკი ........................... 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

გენჩლერი-აკხისარი ....................... 2:0

ანთალია-გალათასარაი .................. 2:3

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პოგონი-პლოცკი ............................ 1:1

**დანია. სუპერლიგა**

ოდენსე-ოლბორგი ......................... 4:0

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა არის კბილების მხატვრული რესტავრაცია

ეკა ირემაშვილი

კბილების მხატვრული რესტავრაცია ძალიან ჰგავს იუველირულ ხელოვნებასაც, სკულპტურასაც და არქიტექტურასაც. ექიმი მუშაობს მცირე სივრცეში და აშენებს დაშლილის სანაცვლოდ ახალ კონსტრუქციას პაციენტის პირის ღრუში.
რა არის კბილების მხატვრული რესტავრაცია და ვის სჭირდება იგი? – ამ საკითხზე „ნინო ბერიძის ორთოდონტიული ცენტრის“ ექიმი-სტომატოლოგი ეკა ჩიხრაძე საუბრობს.



**ეკა ჩიხრაძე:**

– მხატვრული რესტავრაცია სრულდება ორი მეთოდით: პირდაპირითა და არაპირდაპირით. თუ რომელი მეთოდი სჭირდება კონკრეტულ პაციენტს, ეს განისაზღვრება დათვალიერებისა და ექიმთან საუბრის შემდეგ, ჩვენებებისა და პაციენტის სურვილების გათვალისწინებით.

პირდაპირი რესტავრაცია სრულდება უშუალოდ პაციენტის პირის ღრუში. კბილები საჭიროებს მინიმალურ პრეპარირებას – შორდება მხოლოდ დაზიანებული ქსოვილები.

საჭირო ცოდნისა და თანამედროვე საშუალებების მქონე ექიმ-სტომატოლოგს შეუძლია ააშენოს, გამოწიოს წინ, გაზარდოს ზომებში, აღადგინოს კბილები, რომლებიც დაზიანდა ან შეიცვალა ფერი, გაცვდა ცხოვრების მანძილზე ან რაიმე ჰორმონალური პროცესების შედეგად დაიკარგა რაღაც ქსოვილები.

ექიმი აშენებს ახალ კბილს თანამედროვე მასალებით, ათავსებს რა მათ ფენა- ფენა და ამყარებს სპეციალური ნათების საშუალებით. ეს საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი სამუშაოა.

ხშირად ექიმთან მოდის პაციენტი მხოლოდ კბილის ფესვით, ხოლო ექიმი იწყებს აღმშენებლობას ფესვიდან გვირგვინამდე სპეციალური მასალების გამოყენებით. მთავარია ყველა ანატომიური თავისებურების გამეორება, მიკრორელიეფის, ბზარების, ჩაღრმავებების შექმნა, რაც მკაცრად შეესაბამება მეზობელ და ანტაგონისტ კბილებს სწორი და ფუნქციურად გამართული თანკბილვისთვის. მნიშვნელოვანია, რომ აღდგენილი კბილი სრულიად შეესაბამებოდეს ყველა ფიზიოლოგიურ ფუნქციას. რა თქმა უნდა, ჩვენ არ მივდევთ იმ გზას, რომ აღდგენილი კბილი საკუთარ კბილებზე ლამაზი იყოს.

კბილები პირის ღრუში განსხვავდება ფერით, ადგილმდებარეობის მიხედვით. გვერდითა კბილები უფრო მუქია, ვიდრე წინა. თითოეული კბილის ფერიც კი განსხვავებულია მის სხვადასხვა ზედაპირზე. ყელის არეში კბილი უფრო მუქია, შუაში – ღია, ხოლო საჭრელ კიდეზე – გამჭვირვალე. ერთ დროს მოდაში მყოფი „სანტექნიკის“, არაბუნებრივი თეთრი ფერის კბილები არცთუ ისე ლამაზი სანახავია. თუმცა ყველაფერი გემოვნების საკითხია. ჩვენი კლინიკის ძირითადი არსი ჰარმონიულობაა, რომელიც ბუნებრიობის განუყოფელი ნაწილია. ჩვენ ვცდილობთ, ეს პრინციპი მივიტანოთ პაციენტამდე. რესტავრატორს, როგორც ნამდვილ მხატვარს, კბილის თითოეული ნიუანსის აღსადგენად აქვს ფერთა ფართო გამა. თანამედროვე მასალები ეწყობა კბილის ფერს, როგორც ქამელეონი. საბოლოო ეტაპი პოლირებაა. სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით აუცილებელია აღდგენილი კბილის მაქსიმალურად გაპრიალება. ეს ეტაპი მნიშვნელოვანი და საკმაოდ ხანგრძლივია. პირდაპირი რესტავრაციის მეთოდს შეუძლია ფორმის, ზომისა და ფერის შეცვლა.

***– რა არის ყველაზე მთავარი, რომ კბილის რესტავრაცია იყოს ხარისხიანი?***

– გვინდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება რესტავრაციის თანამედროვე მასალებზე, რომლებიც ეხმარება ექიმს, შეასრულოს ყველა ეტაპი ხარისხიანად და პაციენტის ჯანმრთელობის დაუზიანებლად. ჩვენს კლინიკაში ვიყენებთ მეექვსე თაობის კომპოზიტურ სისტემებს, რომლებიც უნივერსალურია და აქვთ მაღალი ცვეთამედეგობა. ეს არის ნანო, ჰიბრიდული და მიკროშემავსებლიანი კომპოზიტები.

***– როგორ შეიძლება, გვქონდეს ჰოლივუდის ღიმილი?***

– მხატვრული რესტავრაციის არაპირდაპირი ტექნიკა – ვინირები. თხელი ფირფიტები, რომლებიც ეკრობა კბილის ზედაპირზე და საშუალებას იძლევა, მიიღოთ ჰოლივუდის ღიმილი. ამ მეთოდის მინუსი მისი მაღალი ფასი და დამზადების დროა. ეს მეთოდი ორთოპედიულია. იგი საჭიროებს როგორც ექიმი-სტომატოლოგის, ასევე სატექნიკო-ლაბორატორიის არსებობას. იქ მზადდება ფირფიტები ექიმის მიერ წინასწარ მომზადებული კბილებიდან აღებული ზომების მიხედვით. კბილის ქსოვილები მინიმალურად იქლიბება, რაც როგორც ექიმისგან, ასევე ტექნიკოსისგან ვირტუოზულ შესრულებას მოითხოვს.

***– როგორ მოვუაროთ რესტავრირებულ კბილებს?***

– აღდგენილი კბილები საჭიროებს სპეციალურ მოვლას. აუცილებელია დროული ვიზიტები პროფესიულ წმენდაზე. ჩვენ პაციენტებს ურჩევთ ირიგატორის, როგორც დამატებითი ჰიგიენური საშუალების გამოყენებას, სპეციალურ პასტებს, აგრეთვე დროულ ვიზიტებს კლინიკაში, არაუგვიანეს ექვს თვეში ერთხელ, პროფილაქტიკურ შემოწმებაზე.

## ალიგატორმა დიდი თევზი დაიჭირა და გოლფის მოედანზე გაისეირნა



ამერიკაში, ფლორიდის შტატში, გოლფის სათამაშო მოედანზე უზარმაზარი ალიგატორი გამოჩნდა, რომელსაც პირში დიდი ზომის თევზი ეჭირა.

მომხდარის ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელ ფეისბუქში ახალი ამბების წამყვან დენის ფილიპსის გვერდზე გამოქვეყნდა. გამოქვეყნებიდან სამ დღეში ვიდეორგოლი 1,1 მილიონზე მეტმა ინტერნეტმომხმარებელმა ნახა.

ქ. ხ.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



## ქალბატონო შურა!



სულითა და გულით გილოცავთ ქალთა დღეს – 8 მარტს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და სიხარულს. დიდი ხნის უნახავ ადამიანს შევხვდით შემთხვევით, რამაც ძალიან გაგვახარა და გაგვახსენა თქვენი სიკეთე. ჩვენ ერთად თოთხმეტი წელი ვიმუშავეთ. თქვენში დავინახეთ ადამიანობა, დიდსულოვნება. ხშირად ვნატრობთ იმ დროს, რომელიც არასდროს დაბრუნდება.

დიდებული ადამიანი ხარ. ვამხელთ შენს სახელს – ეს ქალბატონი

## შურა შანიძე–ქობალიაა

მადლობა მის გამზრდელს. ოცდარვა თანამშრომელი ვმუშაობდით შურას ხელმძღვანელობით და ყველანი მისი მადლიერები ვიყავით. დაგლოცოს ღმერთმა და გახარებული იყავი შენს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.

ჩვენ არასდროს დაგვავიწყდება შენი სიკეთე, რასაც ჩვენთვის აკეთებდი.



*უნივერმაღ „თბილისის“ ყოფილი თანამშრომლები:
ნანა დევდარიანი
ნინო მამალაძე
მაყვალა სალამაძე
ნინო ელიზბარაშვილი*

## ასტროპროგნოზი

8 მარტისათვის



**ვერძი** – განიწმინდეთ სულიერად, ეცადეთ, კეთილი საქმეები აკეთოთ. გარშემომყოფებს საშუალება მიეცით, თავიანთი საუკეთესო თვისებები გამოავლინონ. **კურო** – დღე წინასწარ დაგეგმეთ. ყოველგვარი აგრესია გამორიცხეთ. სულიერი წონასწორობა შეინარჩუნეთ. **ტყუპები** – საქმეში არასტანდარტული მეთოდები გამოიყენეთ. შემთხვევით ნაცნობობას თავი აარიდეთ. **კირჩხიბი** – ფინანსური მდგომარეობა რამდენადმე უარესდება. ნებისმიერი საბანკო ოპერაციისაგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – ახალგაცნობილ ადამიანთან კონტაქტი იღბლიანი იქნება. მთელი ყურადღება საქმეს დაუთმეთ. **ქალწული** – მაცდურ შემოთავაზებას დაუფიქრებლად ნუ დათანხმდებით. გარისკვა რეკომენდებული არ არის. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა მოგზაურობისათვის, ქალაქგარეთ გასასვლელად. ახალი შთაბეჭდილებები თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე დადებითად იმოქმედებს. **ღრიანკალი** – დღის პირველ ნახევარში წვრილმანი საქმეების მოგვარება მოგიწევთ. საყიდლებზე წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ კონფლიქტს გარშემომყოფებთან. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **თხის რქა** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. თავი შეიკავეთ ინიციატივის გამოვლენისაგან. **მერწყული** – ნებისმიერი წამოწყება გაამართლებს. შემოსავალი გეზრდებათ. **თევზები** – ზომიერება დაიცავით. სასურველსა და რეალობას შორის ზღვარი გაავლეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 2. სასარგებლო მწერი; 3. უფროს მეთაურთა სამხედრო ჩინი; 4. სოფლის შემსწავლელი მეცნიერება; 5. ირლანდიელი მწერალი, რომან „ულისეს“ ავტორი; 6. უძველესი აკადემია კახეთში; 8. ინდიელთა გრძელი, ვიწრო ნავი; 11. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი; 14. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 15. გორგოლაჭიანი ტრანსპორტი ორი; 16. კუნძულთა ჯგუფი წყნარ ოკეანეში; 17. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში; 19. ფრანგული სიგარეტი; 21. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ირანის ნავსადგური; 22. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად**: 1. გოეთეს ტრაგედია; 5. შოტლანდიური არაყი; 7. უკრაინული ხალხური ცეკვა; 9. გულის არტერიის დაავადება; 10. რჩევა-დარიგება, მითითება, რომელსაც შთამომავლობას უტოვებენ; 12. სამცხის მმართველთა ტიტული; 13. ცირკის მასხარა, კლოუნი; 16. ქვეყნის ერთგული, თავდადებული ადამიანი; 17. მდინარე პარიზში; 18. ღვინის, ვაზის პატივსაცემი რიტუალი ძველად საქართველოში; 20. სხეულის რიტმული, მოხდენილი მოძრაობის ხელოვნება; 22. ბაგირებზე დაკიდებული საცალფეხო ხიდი მდინარეზე; 23. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 24. უღელტეხილის ქართული სახელწოდება; 25. ხორბლის სალეწი ძველებური იარაღი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სინოპეკი; 2. ქრონიკა; 3. იდიში; 4. ბედლამი; 5. კუმურდო; 10. „გორდონსი“; 11. მენეჯმენტი; 12. ტრამვაი; 15. სტივიდორი; 16. სტამპა; 17. წუმწუმა; 20. „ოპელი“.

**თარაზულად:** 6. ნიკორწმინდა; 7. შერბური; 8. კრიკინა; 9. სენაკი; 13. პოლო; 14. კეხურა; 18. ამპლიტუდა; 19. წუნდა; 21. შპიგი; 22. „მაინცი“; 23. პანტომიმა; 24. ბრინდიზი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. „ოჯალეში“; 3. ანდამატი; 4. აქსესუარი; 5. ზევსი; 6. უშგული; 8. ბარელი; 11. დუბლინი; 14. ეფრემვერდი; 15. პოლონეზი; 16. ბარისტერი; 17. ხამონი; 19. რენუარი; 21. „გიუმი“; 22. სეული.

**თარაზულად:** 1. მოწამეთა; 5. ზებუ; 7. კაბუკი; 9. ვარდობისთვე; 10. გოდერძი; 12. ალუბალი; 13. ყვარელი; 16. „ბენეტონი“; 17. ხიდი; 18. პროზა; 20. სამორინე; 22. სტეკი; 23. თურინჯი; 24. ეტიუდი; 25. „მაზდა“.

# ფიტარეთის მონასტერი საფრთხის წინაშეა

– ამ განცხადებას საყდრისის კომიტეტის წევრი ნინო ბურჭულაძე აკეთებს და აცხადებს, რომ ბოლნისის რაიონში მდებარე XIII საუკუნის უნიკალურ კულტურულ ძეგლს საფრთხე ემუქრება.

როგორც ნინო ბურჭულაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, საყრისის კომიტეტი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურის სამინისტროს ამ საკითხით დაინტერესებისკენ მოუწოდებს:

– ფიტარეთის მონასტერი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს და მის გარშემო 500 მეტრამდე ტერიტორია ასევე დაცულია, თუმცა ფართომასშტაბიანი სამუშაოების განხორციელების დროს ეს 500 მეტრი შეღავათს არ გვაძლევს.

ფიტარეთის მონასტერს, რომელიც ისედაც სავალალო მდგომარეობაშია, რომელშიც წვიმის დროს წყალი ჩადის და ფრესკები ზიანდება, დიდ საფრთხეს შეუქმნის ოქროს მოპოვების სამუშაოები, რადგან მცირე ბიძგებმაც კი შეიძლება ძეგლი დააზიანოს. საფრთხე დაემუქრება ასევე იმ არქეოლოგიურ ობიექტებს, რომლებიც იმ ტერიტორიაზე მრავლად არის.



თეთრიწყაროს რაიონში, ფიტარეთის მონასტერთან, გეოლოგიური დაზვერვის სამუშაოები ჩატარდა. გეოლოგიური დაზვერვის სამუშაოები კომპანია სი-ემ-ჯიმ ჩაატარა, რომელიც არემჯის ჯგუფის დირექტორთან არის დაკავშირებული. ჩვენ გავარკვიეთ, რომ სი-ემ-ჯი არის არემჯის შვილობილი კომპანია. 10 ოქტომბერს მივმართეთ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს და 2 თებერვალს მივიღეთ პასუხი, რომ ისინი მონიტორინგზე იმყოფებოდნენ და დაადგინეს, რომ სახიფათო ვერაფერი იპოვეს.

ჩვენ არ ვამბობთ იმას, რომ ამ წუთას მიმდინარეობს გეოლოგიური სამუშაოები, მაგრამ, გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად, ადგილობრივ მოსახლეობაში გააქტიურდა თემა, რომ კომპანია არემჯი გოლდი იქ გეგმავს ოქროს მოპოვების სამუშაოების წამოწყებას, რაც ნამდვილად დააზიანებს სამონასტრო კომპლექსს.

საფრთხე დაემუქრება იმ არქეოლოგიურ ობიექტებსაც, რომლებიც მრავლად არის იმ ტერიტორიაზე. ასე ადრე იმიტომ ვაკეთებთ განცხადებას, რომ სამწუხარო პრეცედენტი გვაქვს თვალწინ საყდრისის სახით.

მივმართავთ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსა და კულტურის სამინისტროს, მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინონ ამ საკითხთან დაკავშირებით.

# დავით ფოცხიშვილი: „ეს არის ქორეოგრაფიული კრიმინალი“

ქორეოგრაფი დავით ფოცხიშვილი ბოლო პერიოდში სხვადასხვა ქვეყნის ანსამბლების მიერ ქართული ცეკვის მითვისებას აპროტესტებს და ინტერნეტში ამის დამადასტურებელ ვიდეოებს ავრცელებს.




**დავით ფოცხიშვილი:**

– 2012 წლის ევროვიზია ქალაქ ბაქოში. ნახეთ, რა ჯიგრულად აქვთ ქართული ცეკვა თავისი ქორეოგრაფიული ნახაზობრივი სქემატიკით ჩასმული ამ „შოუში“. თითქმის მთელ მსოფლიოში გადიოდა ეს გახსნა პირდაპირ ეთერში... პირდაპირ ეთერს თავი დავანებოთ! ეს შოუ ხომ უკვე მათ არქივში ჩაეწერა? თუ რამეს არასწორად ვხედავ, მაპატიოს ყველამ, მაგრამ ეს მწარე რეალობაა... ესეც აზერბაიჯანული ზღაპარი...

აზერბაიჯანელების გარდა, ქართული ცეკვის მითვისების მაგალითებია ოსურ ანსამბლებშიც:

– მორიგი ოსური ანსამბლი, რომელიც ახორციელებს ქორეოგრაფიულ კრიმინალს... ეს არის ჩვენი ოკუპანტი „ოსეთის ანსამბლი“. ეს ცეკვა თავფეხიანად ქართული ცეკვაა. ეს არის ქორეოგრაფიული კრიმინალი, რომელსაც მიზანმიმართულად ახორციელებს ოსეთის რესპუბლიკა.

ქორეოგრაფი ანსამბლ „ალანსა“ და მის სამხატვრო ხელმძღვანელ თემურ მურაშევსაც აკრიტიკებს და აცხადებს, რომ მათ მიერ შესრულებული ცეკვები უსინდისოდ არის მოპარული, მეტიც, რამდენიმე მელოდია ლელა თათარაიძისაა:

– ეს არის სუფთა წყლის ქართული ცეკვა... ასე უსინდისოდ მოიპარა ჩვენმა მტერმა ქართველებისგან. რამდენიმე მელოდია ლელა თათარაიძის არის... ავტორიანი მელოდიები აქვთ გამოყენებული ოსებს და ამტკიცებენ, ჩვენიაო. კონცერტი ტარდება მოსკოვში „ჩაიკოვსკის დარბაზში“. მოდით ახლა და დაუმტკიცოთ მსოფლიოს, რომ მთიულური ცეკვები ოსებს არ ეკუთვნით... აფიშაზე ასე წერია: მოსკოვის ცეკვის კომპანია „ალანი“, სამხატვრო ხელმძღვანელი: თემურ მურაშევი.

# ნონა გიუნაშვილის დასახმარებლად საქველმოქმედო საღამო ჩატარდება

ქვიშით მხატვარი ნონა გიუნაშვილი სახალხო პროექტ „ნიჭიერის“ გამარჯვებული გახდა და ფართო საზოგადოებამაც მაშინ გაიცნო.



ნონა გორში ცხოვრობს და სხვადასხვა პროექტში აქტიურად მონაწილეობს, თუმცა ბოლო პერიოდში ხელოვანს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა.

მის დასახმარებლად 17 მარტს აქცია-კონცერტი გაიმართება, რომელსაც ორგანიზატორებმა „ქვიშით დავხატავ სიკეთეს“ უწოდეს. საღამოს მსახიობი და მომღერალი ლევან სუხიტაშვილი გაუძღვება. სწორედ ლევანმა გაავრცელა სპეციალური ვიდეომიმართვა და საზოგადოებას მხარდამჭერებთან ერთად ნონა გიუნაშვილის დახმარება სთხოვა.

ლევან სუხიტაშვილი:

– გახსოვთ ქვიშაზე მხატვარი ნონა გიუნაშვილი, რომელმაც გაიმარჯვა „ნიჭიერში“ ქვიშით ხატვაში?

მას ჩვენი დახმარება სჭირდება. გარდა აქცია-კონცერტისა, რომელიც ჩატარდება გორში და მე აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას, როგორც წამყვანი, შეგვიძლია დავეხმაროთ ასევე მცირედი თანხის ჩარიცხვითაც ანგარიშის ნომერზე, რომელიც საქართველოს ბანკშია გახსნილი.

# მიხეილ მდინარაძე საკუთარ უფლებებში გარკვევას ითხოვს

კომპოზიტორი მიხეილ მდინარაძე საკუთარ უფლებებში გარკვევას ითხოვს.

**მიხეილ მდინარაძე:**

– მაინტერესებს, მე, როგორც მოქალაქეს, მაქვს თუ არა უფლება, იმ უამრავ ტელეპროექტს შორის, რომლებიც სხვადასხვა ტელემაუწყებლის ეთერში გადის, მოვითხოვო ერთი გადაცემა მაინც, რომელიც ჩემს პროფესიულ ინტერესს დააკმაყოფილებს?!



საზოგადოებრივი მაუწყებელი სწორედ ის სივრცეა, სადაც ყველა კატეგორიის მაყურებლის ინტერესი უნდა იყოს დაკმაყოფილებული. დღემდე ვერ ვხვდები, როგორ შეიძლება, საზმაუს პროექტების ხარისხის დეფინიტორი ისეთი მდგენელი იყოს, როგორიცაა რეიტინგი. ბუნებრივია, „უცნობი მუსიკა“ ვერ იქნება ისეთი პოპულარული ამ კრიტერიუმის მიხედვით, როგორიც, მაგალითად, სხვა კომერციული მაუწყებლების სპეციალურად ამ კონკრეტული მდგენელის ასამაღლებლად შექმნილი პროექტები.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**



# ადელმა გათხოვება ოფიციალურად აღიარა

ბრიტანელმა მომღერალმა ადელმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ უკვე გათხოვილია. მისი რჩეული გახდა საიმონ კონეკი.

ადელისა და კონეკის დაქორწინების თაობაზე ხმები დიდი ხანია ვრცელდებოდა, მაგრამ მომღერალმა ეს მხოლოდ ახლახან დაადასტურა. ყოველივე ბრისბენში (ავსტრალია) გამართული კონცერტის დროს მოხდა, როდესაც ადელი საკუთარ სიმღერაზე საუბრობდა.

ადელის თქმით, ის ცდილობდა გაეხსენებინა, თუ რას გრძნობდა თავიანთი ურთიერთობის დასაწყისში, რომელმაც ამ კომპოზიციის შექმნისკენ უბიძგა. როგორც მომღერალმა განმარტა, განშორება შეიძლება იყოს ცუდი და საშინელი, მაგრამ ადამიანის მიმართ პირველი გრძნობა საუკეთესოა მთელი დედამიწის ზურგზე და იქვე დაამატა, რომ ახლა ის უკვე გათხოვილია.

# ემბერ ჰერდი და ილონ მასკი ისევ ერთად შენიშნეს

ჰოლივუდის მსახიობი ემბერ ჰერდი და ტესლა მოტორსის დამფუძნებელი ილონ მასკი ისევ ერთად შენიშნეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მსახიობი და მილიარდერი დოკუმენტური ფილმის ვიპჩვენებას დაესწრნენ. ღონისძიება ეპლის ხელმძღვანელ ტიმ კუკის მიერ იყო ორგანიზებული და პალო-ალტოში მიმდინარეობდა.

45 წლის მასკა და 30 წლის ჰერდი 2016 წელს არაერთხელ შენიშნეს ერთად, როდესაც მათ განქორწინების პროცესი ჰქონდათ თავიანთ მეუღლეებთან, შესაბამისად, ტალულა რაილისთან და ჯონი დეპთან.



სავარაუდოდ, მსახიობსა და ბიზნესმენს რომანი აქვთ, თუმცა მათთან დაახლოებული ინფორმაციის წყარო ამტკიცებს, რომ მასკი და ჰერდი დიდი ხნის მეგობრები არიან.

# ვიქტორია ბექჰემს მოგზაურობა უყვარს




დიზაინერმა ვიქტორია ბექჰემმა დიდ ბრიტანეთში თავისი საყვარელი ადგილები დაასახელა. მოდელიიერის თქმით, ის ცდილობს, რაც შეიძლება მეტი იმოგზაუროს და შვილებსაც იმავეს გასაკეთებლად ახალისებს, თუმცა მისთვის საყვარელი ზოგიერთი ადგილი მისსავე სამშობლოშია.

– ძალიან ბევრია ისეთი რამ, რითაც შეიძლება დაკავებული იყოთ ბრიტანეთში: მუზეუმები, სამხატვრო გალერეები, პარკები. შეგიძლიათ წახვიდეთ ბალეტზე, – განაცხადა ბექჰემმა.

დიზაინერი ყველაზე კარგად თავს ლონდონში გრძნობს, ვინაიდან იქ მის გვერდით არიან მეუღლე დევიდ ბექჰემი და შვილები.

– ლონდონი ფანტასტიკური ქალაქია, – აღნიშნა მოდელიერმა.

რაც შეეხება ვიქტორიას ჯგუფ „სპაის გერლსში“ მოღვაწეობას, მისი თქმით, მაშინ ისინი ძირითადად სასტუმროებსა და საკონცერტო დარბაზებს ნახულობდნენ.

– ჩვენ ძალიან ბევრს ვმოგზაურობდით, მაგრამ თითქმის ვერაფერს ვათვალიერებდით, – განაცხადა დიზაინერმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პროგრამა

**ოთხშაბათი 8 მარტი**

**07.00** დოკ/ფ "ჯეიმი ოლივერი – დიდი ბრიტანეთი" **08.00** "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "ფერმა" **14.30** "დღე მუზეუმში" **15.00, 03.30** "X სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა **23.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგის 1/8 ფინალური მატჩი **01.30** მხ/ფ "**მინი და მასკოვიცი**" (ჯ.როულენდსი)

**08.00** დ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **09.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.20** დ/ფ "მონსანტოს თვალით დანახული სამყარო" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "პარიკები და ლამაზი მაქმანები" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია**" **23.00** "ნამდვილი დრო" **23.45** **ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგის 1/8 ფინალური მატჩი

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.45** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სერ. "**აგენტურა**" 5" 6 სერ. **01.30** მხ/ფ "**სიყვარულის სახელმძღვანელო**" **04.00** მხ/ფ "**ვირტუალური მკვლელი**"

**06.00** სერ. "**ოქროს გალია**" **06.45, 20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ოქროს გალია**" **18.00** კურიერი **19.00, 20.03** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** გააცინე და მოიგე

**08.00** ან/სერ. ავატარი **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**" **13.00**სერ. "**სიმართლის ანატომია**" **15.00** მხ/ფ "**ანააპოლისი**" **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **21.00** მხ/ფ "**საგანგებო ექსტრადიცია**" **23.15** მხ/ფ "**დაქირავებული მკვლელები** " **01.45** მხ/ფ "**პრეზიდენტის თვითმფრინავი**" **04.05** მხ/ფ "**მისისიპის აჩრდილები**"

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დ/ფ "დაკარგული მონასტრები" **11.20** ერთი წვეთი **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** თბილისის ტაძრები "კლდის უბნის წმინდა გიორგის სახ. ტაძარი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** წმინდა ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება **15.40** დ/ფ "ველური ბუნება" **16.10** კონცერტი **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ხარება და გოგია**" 1 ნაწ. **20.40** ძილი ნებისა "სიზმარა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** ღვთის სახლი-ხანცთა III ნაწ. **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ღვთის სახლი "ტაოკლარჯეთი" **00.25** ისტორიის დღიური **01.00** დ/ფ "გზა" I სერ. **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "მაშა და დათვი" **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **10.00, 2.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50, 20.55** სერ. "**ვერონიკა**" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** სერ. "**გემი**" **23.15** სერ. "**პაემანი**" **1.30** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

8 მარტისთვის

აშშ დოლარი — 2.4606

ევრო — 2.6048

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.016

100 რუსული რუბლი — 4.2363

## ამინდის პროგნოზი 8 მარტისთვის





## 10 მარტიდან

120 ამბავი

ალექსანდრე მაკედონელი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი







## 3 მარტიდან

გია ბუღაძე

200 ამბავი მხატვრობაზე

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## 1 მარტიდან




რეზო თაბუკაშვილი

13 დღე

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




## იუმორი

დედა შვილს ეკითხება:

– შვილო, როგორ მიდის, შენი და გიგის ურთიერთობა?

– წვრილმანებზე ვკამათობთ, გამუდმებით.

– რა წვრილმანებზე?

– მინდა ქორწილში თეთრი კაბა მეცვას, მას კი საერთოდ არ უნდა დაქორწინება...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– პირადობის მოწმობა რომ დაკარგე, არ გეშინია, ვინმემ რომ ისარგებლოს და შენი სახელით კრედიტი გამოიტანოს?

– ჩემი საკრედიტო ისტორიით, ჩემი პირადობით, მე თვითონაც არ მომცემენ კრედიტს.

•••

შვილი მამას ეკითხება:

– მამა, დედა რატომ მოიყვანე ცოლად?

კაცი ცოლს მიუბრუნდა და ეუბნება:

– აი, ხედავ, ბავშვსაც კი უკვირს!

•••

ერთი მეგობარი მეორეს უყვება:

– გუშინ სახლში გვიან ღამით მთვრალი მივედი, გავიხადე, ლოგინში შევძვერი და ცოლს მოვეხვიე.

– ???

– ამ დროს სიდედრის ხმა მესმის: „ლელა მეორე ოთახშია!“

– მერე?

– ასე სწრაფად არასოდეს გამოვფხიზლებულვარ!..

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– იცი რა ძვირფასო, დღეს შენი საყვარელი ვნახე და დავრწმუნდი, რომ ეს შენი მხრიდან ღალატი კი არა, გმირობაა.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ცოლმა რა გაჩუქა დაბადების დღეზე?

– არაფერი.

– ეგეც სასარგებლოა.

– ჰო. ადგილს სულ არ იკავებს...

•••

ექიმთან კაცი მივიდა, თავში ლურსმანი აქვს ჩარჭობილი. ექიმი ეკითხება

– ამოგაძრო?

– რა თქმა უნდა.

– 200 ლარი დაგიჯდება.

– კი მაგრამ, მე ხომ პოლისი მაქვს?

– მაგ პოლისით მხოლოდ ლურსმნისთვის თავის გადაღუნვა შემიძლია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



# ვიქტორ ჰიუგო
# საბრალონი

| 23 თებერვლიდან ტომი I | 27 თებერვლიდან ტომი II | 2 მარტიდან ტომი III | 6 მარტიდან ტომი IV |
|---|---|---|---|
|  |  |  |  |
| ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი | ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი | ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი | ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი |


## ნეიმარი თანაგუნდელებს დაენაძლევა, რომ პსჟ-ს, მინიმუმ, ორ გოლს გაუტანს

ბარსელონის ბრაზილიელი ფორვარდი ნეიმარი თავის თანაგუნდელებს დაენაძლევა, რომ პსჟ-სთან შეხვედრაში ის, მინიმუმ, 2 გოლის გატანას შეძლებს.

ბარსელონამ პირველი მატჩი პარიზში 0:4 დათმო და მეოთხედფინალში გასვლის ძალიან მცირე შანსი აქვს.

მიუხედავად ამისა, კატალონიურ გუნდში ოპტიმისტური განწყობაა და ბარსელონის ფეხბურთელებს სჯერათ სასწაულის. ნეიმარი ბოლო პერიოდში ძალიან კარგ ფორმაშია და მან რამდენიმე ლამაზი გოლის გატანა შეძლო.

პსჟ-სთან შეხვედრა 8 მარტს, თბილისის დროით 23.45 წუთზე დაიწყება.



## გურამ კაშიათი სუონსი დაინტერესდა

ქართველ მცველ გურამ კაშიათი, რომელიც ამჟამად არნემის ვიტესში თამაშობს, უელსური გუნდი სუონსი დაინტერესდა.

სუონსი პრემიერ ლიგის ბინადარია, ინგლისის ჩემპიონატს კი ბევრი საუკეთესოდ თვლის მსოფლიოში. თვითონ კაშიამ აღიარა, რომ მისი ოცნება პრემიერ ლიგაში თამაშია და ეს ტურნირი ბავშვობიდან უყვარს.

– პრემიერ ლიგის გუნდის ინტერესი ჩემთვის დიდი პატივია. ინგლისის ჩემპიონატს ბავშვობიდანვე ვუყურებ და ლივერპულს ვგულშემატკივრობ, რადგან ძალიან მომწონს იურგენ კლოპი, – განაცხადა გურამ კაშიამ.



## კრეიგ შექსპირი სეზონის ბოლომდე ლესტერის მწვრთნელი იქნება



ლესტერს სეზონის ბოლომდე კრეიგ შექსპირი გაწვრთნის, რომელიც რანიერის გათავისუფლების შემდეგ ლესტერში მწვრთნელის მოვალეობას ასრულებდა. ლესტერმა შექსპირს სეზონის ბოლომდე დარჩენა სთხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო. ინგლისურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლესტერი ახალ მწვრთნელს ზაფხულში დანიშნავს ან, შესაძლოა, შექსპირი თანამდებობაზეც დატოვონ, თუ მისი მუშაობით კმაყოფილი იქნებიან.

რანიერის წასვლის შემდეგ შექსპირის ხელმძღვანელობით ლესტერმა ორი თამაში ჩაატარა და ორივე მოიგო ერთნაირი ანგარიშით 3:1.

## მარკო როისი თამაშს ერთი თვე ვერ შეძლებს

დორტმუნდის ბორუსიის წამყვანი ფორვარდი მარკო როისი ტრავმირებულია და მას ერთი თვე მოუწევს დასვენება.



როისმა ტრავმა ლევერკუზენის ბაიერთან შეხვედრაში მიიღო და 43-ე წუთზე მოედანი ნაადრევად დატოვა.

მარკოს ბარძაყი აქვს დაზიანებული, რის გამოც სერიოზული მკურნალობა ესაჭიროება, ამიტომ ის თამაშს ერთი თვის მანძილზე ვერ მოახერხებს.

როისს ადრეც ხშირად აწუხებდა ტრავმები, რის გამოც მან რამდენიმე სერიოზული ტურნირი გამოტოვა, მათ შორის 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი და 2016 წლის ევროპის ჩემპიონატი.

მიუხედავად ტრავმებისა, როისი ბორუსიის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ღია ცის ქვეშ მოწყობილი ეთნოგრაფიული მუზეუმის სახელწოდება; 2. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი გერმანული ფირმა; 3. ფრანგული კომედიური თეატრის მთავარი პერსონაჟი; 4. ირანის პარლამენტი; 5. ქალის სასიმღერო ხმა; 10. მეფეთა რეზიდენცია მადრიდში; 11. კბილის ამოღების ოპერაცია; 12. ტროპიკული ხილი; 15. „შუშანიკის წამების“ ავტორი; 16. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 17. წყალზე მცურავი ყვავილოვანი მცენარე; 20. ვარდისებრთა ოჯახის ხილი, ნიუ იორკის სიმბოლო.

**თარაზულად**: 6. ჟურნალისტთა ოფიციალური დაშვება რაიმე ღონისძიებაზე; 7. თავად-აზნაურთა ტიტული ევროპაში; 8. შოტლანდიელთა მეორე სახელწოდება; 9. მოხსენების, ლექციის მოკლედ ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებანი; 13. ლობიოს მსგავსი პარკოსანი მცენარე; 14. ოქროქსოვილის ძველი ქართული სახელწოდება; 18. საერთაშორისო სისხლის სამართლის სამძებრო პოლიცია; 19. მანძილის საზომი ერთეული საფრანგეთში; 21. ჰოლანდიური ყველი; 22. სიტყვების წარმოთქმის მანერა; 23. ქალისადმი მიძღვნილი პატარა ლირიკული ლექსი; 24. ქართველთა დასახლებული კუთხე აზერბაიჯანში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

